220	გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდები ეროვნულ ვალუტაში 2-21-1000	-	-	-	-	-	-
230	გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდები უცხოურ ვალუტაში 2-21-2000	-	-	-	-	-	-

სტრიქონის კოდი	სასესხო ხელშეკრულებების დასახელება	სესხის პროცენტი%	საბოლოო დაფარვის თარიღი	სესხის აღწერილობა
010				
020				
030				
040				

შენიშვნა N13 კრედიტორული დავალიანებები, ანარიცხები და სხვა ვალდებულებები

N13ა

სტრიქონის კოდი	დასახელება	საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი
010	**მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები 2-13-0000**	893631	39587
020	სახაზინო ოპერაციებთან დაკავშირებული გადასახდელები 2-13-1000	365	365
030	გადასახადებით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები 2-13-2000	0	0
040	თანამშრომლებთან და სტიპენდიანტებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანებები 2-13-3000	0	12433
050	მ.შ სოციალური დახმარებით წარმოქმნილი ვალდებულებები* 2-13-3900	0	0
060	საქონლისა და მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებული მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები 2-13-4000	126852	0
070	არაფინანსური აქტივების მოწოდებასთან დაკავშირებული მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება 2-13-6000 (ძვ. 3220)	766414	26790
080	გადასახდელი პროცენტი 2-13-5000	0	0
090	სხვა მოკლევადიანი (მიმდანარე) კრედიტორული დავალიანებები 2-13-9000	0	0
100	**სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) ვალდებულებები (2-15-0000)**	2386444	3610
110	ავანსად მიღებული მოკლევადიანი (მიმდინარე) შემოსავლები 2-15-1000	2386444	3610
110	მოკლევადიანი (მიმდინარე) ავანსად მიღებული საგადასახადო შემოსავლები 2-15-1100	0	0
120	მოკლევადიანი (მიმდინარე) ავანსად მიღებული არასაგადასახადო შემოსავლები 2-15-1200	2386444	3610
130	მოკლევადიანი (მიმდინარე) ავანსად მიღებული იჯარის შემოსავლები 2-15-1210	3719	3610
140	მოკლევადიანი (მიმდინარე) ავანსად მიღებული გრანტებით და სხვა არაგაცვლითი ოპერაციებით შემოსავლები 2-15-1220	2382725	0
150	მოკლევადიანი (მიმდინარე) ავანსად მიღებული სხვა არასაგადასახადო შემოსავლები 2-15-1230	0	0
160	მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი ვალდებულებები არაფინანსური აქტივების მიღებით 2-15-2100	0	0
170	ბარტერული ოპერაციების შედეგად გასაცემი აქტივებით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) ვალდებულებები 2-15-3000	0	0
180	მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი ვალდებულებები არაგაცვლით ოპერაციებთან დაკავშირებით 2-15-4000	0	0
200	**ვალდებულებები დეპოზიტებით 2-16-0000**	11018	10655
210	ვალდებულებები დეპოზიტებით ხაზინაში 2-16-1000	11018	10655
220	ვალდებულებები დეპოზიტებით ბანკში 2-16-2000	0	0
230	სარეზერვო ფონდი 2-16-3000	0	0
240	**ვალდებულებები აქციებით და სხვა კაპიტალით 2-17-0000**	0	0
250	**გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები 2-26-0000**	3888882	0
260	საქონლისა და მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება 2-26-1000	0	0
270	არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები 2-26-2000	3888882	0
280	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები 2-26-5000	0	0

N13ბ

საანგარიშგებო პერიოდი

სტრიქონის კოდი	დასახელება	სულ ანარიცხები	ანარიცხი 2**
	მოკლევადიანი ანარიცხები		
010	**საწყისი ნაშთი**	-	-
020	ანარიცხების ზრდა	-	-
030	ანარიცხების კლება	-	-
040	წინა ანარიცხების უკუგატარება	-	-
050	**საბოლოო ნაშთი**	-	-
	გრძელვადიანი ანარიცხები		
060	**საწყისი ნაშთი**	-	-
070	ანარიცხების ზრდა	-	-
080	ანარიცხების კლება	-	-
090	წინა ანარიცხების უკუგატარება	-	-
100	**საბოლოო ნაშთი**	-	-

შენიშვნა N14 შემოსავლები გადასახადებიდან, გრანტებიდან და სხვა

N14ა

საგადასახადო შემოსავლები *

სტრიქონის კოდი	დასახელება	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა
010	ფიზიკური პირებისგან საშემოსავლო გადასახადი 4-11-10000	-	-
020	კორპორაციებიდან და სხვა საწარმოებიდან მოგების გადასახადი 4-11-2000	-	-
030	ქონების გადასახადი 4-12-0000	5,569,283	4,630,351
040	დღგ 4-13-0000	12,939,408	9,587,397
050	აქციზი 4-14-0000	-	-
060	საბაჟო და იმპორტის მოსაკრებლები 4-15-0000	-	-
070	სხვა საგადასახადო შემოსავლები 4-16-0000	-	-
080	**სულ**	18,508,691	14,217,747

N14 ბ შემოსავლები გრანტებით

სტრიქონის კოდი	დასახელება	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა						წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა		
		საბიუჯეტო სახსრები			არასაბიუჯეტო სახსრები					
		მიმდინარე	კაპიტალური	სულ	მიმდინარე	კაპიტალური	სულ	მიმდინარე	კაპიტალური	სულ
010	*ჯამური ფორმით 4-31-0000*	418,742	9,994,878	10,413,621	299,255	-	299,255	385,377	12,147,008	12,532,385
020	უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული 4-31-1100	-	-	-	-	-	-	-	-	-
030	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული 4-31-1200	-	-	-	-	-	-	-	-	-
040	სახელმწიფო ერთეულებისაგან მიღებული 4-31-1300	418,742	9,994,878	10,413,621	299,255	-	299,255	385,377	12,147,008	12,532,385
050	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებისაგან მიღებული 4-31-1310	-	-	-	299,255	-	299,255	-	-	-
060	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებისაგან მიღებული4-31-1320	418,742	9,994,878	10,413,621	-	-	-	385,377	12,147,008	12,532,385
070	*სასაქონლო ფორმით 4-32-0000*	2,439,670	2,200	2,441,870	-	-	-	50,000	326,649	376,649
080	უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული4-32-1100	-	-	-	-	-	-	-	-	-
090	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული 4-32-1200	-	-	-	-	-	-	-	-	-
100	სახელმწიფო ერთეულებისაგან მიღებული4-32-1300	2,439,670	2,200	2,441,870	-	-	-	50,000	326,649	376,649
110	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებისაგან მიღებული 4-32-1310	-	2,200	2,200	-	-	-	-	-	-
120	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებისაგან მიღებული 4-32-1320	2,439,670	-	2,439,670	-	-	-	50,000	326,649	376,649
130	**სულ**	2,858,412	9,997,078	12,855,491	299,255	-	299,255	435,377	12,473,656	12,909,033

N14 გ სხვა ოპერაციებიდან შემოსავლები

სტრიქონის კოდი	დასახელება	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა			წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა
		საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	
010	**შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით 4-44-0000**	845,116	-	**845,116**	403,772
020	**შემოსავლები გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 4-45-0000**	**9,317**	-	**9,317**	**16,542**
030	შემოსავლები მიმდინარე გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული4-45-1000	**9,317**	-	**9,317**	**16,542**
040	შემოსავლები კაპიტალური გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 4-45-2000	-	-	-	-
050	**შემოსავლები შიდა ტრანსფერებით 4-50-0000**	-	-	-	-
060	შემოსავლები შიდა მიმდინარე ტრანსფერებით 4-52-0000			-	
070	შემოსავლები შიდა კაპიტალური ტრანსფერებით 4-51-0000			-	
080	**სულ**	**854,433**	-	**854,433**	**420,315**

შენიშვნა N15 შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან					
სტრიქონის კოდი	დასახელება	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა			წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა
		საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	
010	**შემოსავლები საკუთრებიდან 4-41-0000**	302,128	-	302,128	159,095
020	საპროცენტო შემოსავლები 4-41-1000	185,607	-	185,607	54,434
030	დივიდენდებიდან შემოსავლები 4-41-2000	-	-	-	-
040	რენტიდან შემოსავლები 4-41-3000	116,521	-	116,521	104,660
050	**შემოსავლები საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან 4-42-0000**	311,509	659,134	970,643	393,330
060	საქონლის გაყიდვებიდან შემოსავლები 4-42-1000	-	-	-	-
070	მომსახურების გაწევიდან შემოსავლები 4-42-1000	311,509	659,134	970,643	393,330
080	**სხვა**	-	-	-	-
090	**სულ**	613,637	659,134	1,272,771	552,425

შენიშვნა N15ბ გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი					
სტრიქონის კოდი	დასახელება	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა			წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა
		საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	
010	**გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი 4-43-0000**	1,153,498	-	1,153,498	611,560
020	ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	1,153,498	-	1,153,498	611,560
030	საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	-	-	-	-
040	არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	-	-	-	-
050	სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	-	-	-	-

შენიშვნა N17 დარიცხული ხარჯები, გრანტები და სუბსიდიები

N17 ა

სტრიქონი	დასახელება	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა			წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა
		საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	
010	**შრომის ანაზღაურების ხარჯები 5-10-0000**	7,956,051	238,821	**8,194,871**	7,413,544
020	**საქონლისა და მომსახურების ხარჯები 5-20-0000**	6,076,318	2,753,225	**8,829,543**	4,113,147
030	მ.შ შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება	300,984	135,428	436,413	-
040	ოჯარის ხარჯები	-	-	-	-
050	მივლინებების ხარჯები	9,426	-	9,426	-
060	**ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები 5-40-0000**	**8,302,290**	**3,058**	**8,305,347**	**8,160,013**
070	ცვეთის ხარჯი 5-41-0000	8,301,670	3,058	8,304,727	8,160,013
080	ამორტიზაციის ხარჯი 5-42-0000	620	-	620	-
090	**შიდა ტრანსფერებით ხარჯები 5-50-0000**	-	-	-	-
100	შიდა კაპიტალური ტრანსფერებით ხარჯები 5-51-0000			-	
110	შიდა მიმდინარე ტრანსფერებით ხარჯები 5-52-0000			-	
120	**სოციალური დახმარება/უზრუნველყოფა 5-60-0000**	1,298,893	-	**1,298,893**	1,200,535
130	**სხვა ხარჯები 5-70-0000**	**1,943,095**	-	**1,943,095**	**336,471**
140	**საპროცენტო ხარჯები 5-71-0000**	39,458	-	**39,458**	53,478
150	**რენტის ხარჯები 5-72-0000**	-	-	-	-
160	**გარე ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 5-73-0000**	1,903,637	-	**1,903,637**	**282,993**
170	მიმდინარე ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 5-73-1000	1,902,945	-	1,902,945	282,993
180	კაპიტალური ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 5-73-2000	692	-	692	-
190	**ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა 5-74-0000**	-	-	-	-
200	**გრძელვადიანი აქტივების გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯი 5-76-0000**	-	-	-	-
210	ძირითადი აქტივების გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯი	-	-	-	-
220	არამატერიალური აქტივების გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯი	-	-	-	-
230	საინვესტიციო ქონების გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯი	-	-	-	-
240	სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯი	-	-	-	-
250	სულ	25576646	2995104	28571750	21223709

N17 ბ გრანტებით ხარჯები

სტრიქონი	დასახელება	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა						წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა		
		საბიუჯეტო სახსრები			არასაბიუჯეტო სახსრები					
		მიმდინარე	კაპიტალური	სულ	მიმდინარე	კაპიტალური	სულ	მიმდინარე	კაპიტალური	სულ
010	*ფულადი ფორმით*	**0**	-	-	-	-	-	**50,000**	**3,917**	**53,917**
020	უცხო სახელმწიფოთა მთავრობებზე გაცემული 5-31-1100	-	-	-	-	-	-	-	-	-
030	საერთაშორისო ორგანიზაციებზე გაცემული 5-31-1200	-	-	-	-	-	-	-	-	-
040	სახელმწიფო ერთეულებზე გაცემული 5-31-1300	0	-	-	-	-	-	50,000	3,917	53,917
050	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე გაცემული 5-31-1310	-	-	-	-	-	-	-	-	-
060	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებზე გაცემული 5-31-1320	-	-	-	-	-	-	50,000	3,917	53,917
070	*გრანტები სასაქონლო ფორმით 5-32-0000*	**0**	-	-	-	-	-	**50,000**	**241,611**	**291,611**
080	უცხო სახელმწიფოთა მთავრობებზე გაცემული 5-32-1100	-	-	-	-	-	-	-	-	-
090	საერთაშორისო ორგანიზაციებზე გაცემული 5-32-1200	-	-	-	-	-	-	-	-	-
100	სახელმწიფო ერთეულებზე გაცემული 5-32-1300	-	-	-	-	-	-	50,000	241,611	291,611
110	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე გაცემული 5-32-1310	-	-	-	-	-	-	50,000	-	50,000
120	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებზე გაცემული 5-32-1320	-	-	-	-	-	-	-	241,611	241,611
130	სულ	-	-	-	-	-	-	**100,000**	**245,528**	**345,528**

N17 გ

სტრიქონი	დასახელება	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა			წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა
		საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	
010	**სუბსიდიები საჯარო კორპორაციებს 5-33-0000**	-	-	-	-
020	არაფინანსურ საჯარო კორპორაციებს 5-33-1000	-	-	-	-
030	ფინანსურ საჯარო კორპორაციებს 5-33-2000	-	-	-	-
040	**სუბსიდიები კერძო საწარმოებს 5-34-0000**	-	-	-	-
050	არაფინანსურ კერძო საწარმოებს 5-34-1000	-	-	-	-
060	ფინანსურ კერძო საწარმოებს 5-34-2000	-	-	-	-
070	**სუბსიდიები სხვა სექტორებს 5-34-2000**	-	-	-	-
080	სულ	-	-	-	-

შენიშვნა N19 ფულადი სახსრები გადასახადებიდან *			
სტრიქონის კოდი	საგადასახადო შემოსავლების დასახელება	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა
010	ფიზიკური პირებისგან საშემოსავლო გადასახადი	-	-
020	კორპორაციებიდან და სხვა საწარმოებიდან მოგების გადასახ	-	-
030	ქონების გადასახადი	5,569,283	4,630,351
040	დღგ	12,939,408	9,587,397
050	აქციზი	-	-
060	საბაჟო და იმპორტის მოსაკრებლები	-	-
070	სხვა საგადასახადო შემოსავლები	-	-
080	სულ	**18,508,691**	**14,217,747**

* ივსება შესაბამისი ერთეულების მიერ

შენიშვნა N20 საოპერაციო საქმიანობებიდან წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობის შეჯერება (შედარება) ნამეტთან/(დეფიციტთან) *				
სტრიქონის კოდი	დასახელება	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა		
		საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ
010	ნამეტი/დეფიციტი (+/-)	-	-	6,372,389
	არაფულადი მოძრაობები (კორექტირებები)			
020	დარიცხული წმინდა პროცენტი (-/+) **	-	0	(146,149)
030	ცვეთა (+)	-	0	8,304,727
040	ამორტიზაცია (+)	-	0	620
050	წლის გაუფასურების/ღირებულების შემცირების/საეჭვო მოთხოვნების ხა	-	0	-
060	კრედიტორული დავალიანების ზრდა/კლება (+/-)	-	0	114,420
070	ანარიცხების ზრდა/კლება (+/-)	-	0	-
080	სხვა მიმდინარე ვალდებულებების ზრდა/კლება (+/-)	-	0	2,382,833
090	წლის გაუფასურების ღირებულების შემცირების/საეჭვო მოთხოვნების ხარჯის უკუგატარებით	-	0	-
100	გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან მიღებული მოგება/	-	0	(1,153,498)
110	ინვესტიციების გასვლიდან მიღებული მოგება/ზარალი (-/+)	-	0	-
120	დებიტორული დავალიანების ზრდა/კლება (-/+)	-	0	22,388
130	სხვა მიმდინარე აქტივების ზრდა/კლება (-/+)	-	0	(12,946)
140	სხვა არაფულადი ოპერაციებით ზრდა/კლება (-/+)	-	0	(245,914)
150	გადახდილი პროცენტი (-) ***	-	0	(39,458)
160	მიღებული პროცენტი და დივიდენდი (+) ****	-	0	185,607
170	**წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან**	-	0	15,785,020

სტრიქონის კოდი	დასახელება	წინა საანგარიშგებოპერიოდის ბრუნვა		
		საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო	სულ
010	ნამეტი/დეფიციტი (+/-)			
	არაფულადი მოძრაობები (კორექტირებები)			
020	დარიცხული წმინდა პროცენტი (-/+) **	0	0	
030	ცვეთა (+)	0	0	
040	ამორტიზაცია (+)	0	0	
050	წლის გაუფასურების/ღირებულების შემცირების/საეჭვო მოთხოვნების ხა	0	0	
060	კრედიტორული დავალიანების ზრდა/კლება (+/-)	0	0	
070	ანარიცხების ზრდა/კლება (+/-)	0	0	
080	სხვა მიმდინარე ვალდებულებების ზრდა/კლება (+/-)	0	0	
090	წლის გაუფასურების ღირებულების შემცირების/საეჭვო მოთხოვნების ხარჯის უკუგატარებით შემოსავალი (-)	0	0	
100	გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან მიღებული მოგება/	0	0	
110	ინვესტიციების გასვლიდან მიღებული მოგება/ზარალი (-/+)	0	0	
120	დებიტორული დავალიანების ზრდა/კლება (-/+)	0	0	
130	სხვა მიმდინარე აქტივების ზრდა/კლება (-/+)	0	0	
140	სხვა არაფულადი ოპერაციებით ზრდა/კლება (-/+)	0	0	
150	გადახდილი პროცენტი (-) ***	0	0	
160	მიღებული პროცენტი და დივიდენდი (+) ****	0	0	
170	**წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან**	0	0	

შენიშვნა 21 ფაქტობრივი თანხებისა და საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობებიდან წმინდა ფულადი სახსრების შეჯერება (შედარება)						
სტრიქონის კოდი	ბიუჯეტის შესრულების ანგარიში		ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება			ბიუჯეტის ნაშთისა და წმინდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ზრდის (შემცირების) შეჯერება(შედარება)
	დასახელება	ბიუჯეტის შესრულება	ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	
ბიუჯეტის შემოსულობები						
010	ბიუჯეტის შემოსავლები	32,800,470	33,753,993	-	-	-
020	გადასახადები	18,508,691	18,508,691	-	-	-
030	გრანტები	12,796,346	13,095,601	-	-	-
040	სხვა შემოსავლები	1,495,433	2,149,700	-	-	-
050	არაფინანსური აქტივების შემცირება	1,153,498	-	1,153,498	-	-
060	ფინანსური აქტივების შემცირება	-	-	-	-	-
070	ვალდებულებების ზრდა	-	-	-	-	-
080	**სულ ბიუჯეტის შემოსულობები**	**33,953,968**	-	-	-	-
ბიუჯეტის გადასახდელები						
090	შრომის ანაზღაურება	7,835,572	2,531,850	-	-	-
100	საქონელი და მომსახურება	5,873,906	3,221,759	-	-	-
110	პროცენტი	39,458	39,458	-	-	-
120	სუბსიდიები	-	8,973,376	-	-	-
130	გრანტები	-	-	-	-	-
140	სოციალური დახმარება	1,298,893	1,298,893	-	-	-
150	სხვა ხარჯები	1,903,637	1,903,637	-	-	-
160	არაფინანსური აქტივების ზრდა	10,951,437	-	11,061,016	-	-
170	ფინანსური აქტივების ზრდა	-	-	-	-	-
180	ვალდებულებების (ვალის) შემცირება	76,302	-	-	76,302	-
190	*სულ ბიუჯეტის გადასახდელები*	**27,979,205**	-	-	-	-
200	*ბიუჯეტის ნაშთი***	6,391,692	-	-	-	6,391,692
210	ფულადი სახსრების ექვივალენტები	-	-	-	-	-
220	**ბიუჯეტისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების მთლიანი ნაშთი**	-	-	-	-	6,391,692
230	**წმინდა ფულადი სახსრები საქმიანობის მიხედვით**	-	**15,785,020**	**(9,907,518)**	**(76,302)**	-
240	*ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)***	-			**5,801,200**	**5,801,562**

** ივსება მხოლოდ იმ ერთეულების მიერ, რომლებიც აკონტროლებენ ფულად სახსრებს*

*** ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ბიუჯეტის ნაშთისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ჯამი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში ფულადი*

** *აღნიშნული ტოლია ფინანსური აქტივების ზრდას გამოკლებული ფულად*

გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1 სააღრიცხვო პოლიტიკები და სხვა განმარტებითი შენიშვნები

1. **ინსტრუქციების და სტანდარტების ჩამონათვალი, რის შესაბამისადაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება; ასევე, სტანდარტების და ინსტრუქციების ის ჩანაწერები, რომელთა გათვალისწინება ვერ მოხდა ფინანსური ანგარიშგების მომზადების/წარდგენის დროს; ასევე, ამ გადახრების გამომწვევი მიზეზები**

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია **ინსტრუქციების:**

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებული **„საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის წესის„ შესახებ;**
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020წ. 15 იანვრის 17 ბრძანებით დამტკიცებული **“ საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ;**
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის 108 ბრძანებით დამტკიცებული **„საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“;**
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის 289 ბრძანებით დამტკიცებული **„საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“** და
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის №99 ბრძანებით დამტკიცებული **„საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე „**
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბერი№424 ბრძანებით დამტკიცებული **"სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდებისგა ნხორციელების წესის შესახებ“** და შემდეგი საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე:

სსბასს 1 – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა;
სსბასს 2 – ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება;
სსბასს 3 – სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები;
სსბასს 5 – ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები;
სსბასს 9 – შემოსავალი გაცვლითი ოპერაციებიდან
სსბასს 12 – მატერიალური მარაგები
სსბასს 13 – იჯარა;

სსბასს 14 – ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები;
სსბასს 17 – ძირითადი აქტივები;
სსბასს 19 – ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები;
სსბასს 21 – ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურება;
სსბასს 23 – შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციებიდან (გადასახადები და ტრანსფერები);
სსბასს 24 – ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში;
სსბასს 26 – ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გაუფასურება
სსბასს 31 – არამატერიალური აქტივები;
სსბასს 35 – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება;
სსბასს 36 – ინვესტიციები მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობებში;

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე და გარდამავალი ეტაპის შიდა საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში მოქმედი სხვა სტანდარტები ბუღალტრულ აღრიცხვაში მუნიციპალიტეტს არ გამოუყენებია.

ანგარიშგების თაღრისთვის მუნიციპალიტეტში და კონტროლირებულ ერთეულებში (მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებში) არ იყო დასრულებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული სავალდებულო ინვენტარიზაცია.

2. ძირითადი საბუღრიცხვო პოლიტიკების აღწერილობები

სსბასს საფუძველზე დარიცხვის მეთოდით მომზადებული საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მუნიციპალიტეტის ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის, ფინანსური შედეგებისა და ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ ისეთ ინფორმაციას, რომელიც მომხმარებლებს შეუძლიათ გამოიყენონ რესურსების განაწილებაზე გადაწყვეტილების მისაღებად და ასახავს მუნიციპალიტეტის ანგარიშვალდებულებასა და პასუხისმგებლობას, მისთვის მინდობილი რესურსების მიმართ.ეს ინფორმაციებია:

ა) ინფორმაცია, ფინანსური რესურსების წყაროების, განაწილებისა და გამოყენების შესახებ;
ბ)ინფორმაცია იმის შესახებ, როგორ დააფინანსა ერთეულმა თავისი საქმიანობები და როგორ შეასრულა ფულად სახსრებთან დაკავშირებული მოთხოვნები;
გ)ინფორმაცია, რომელის საფუძველზეც შეიძლება შეფასდეს მუნიციპალიტეტის ქმედუნარიანობა, დააფინანსოს თავისი საქმიანობები და შეასრულოს დაკისრებული პასუხისმგებლობები და ვალდებულებები;
დ) ინფორმაცია, ერთეულის ფინანსური მდგომარეობისა და მისი ცვლილებების შესახებ; და
ე) აგრეგირებული ინფორმაცია, რომლის მიხედვით შესაძლებელია მიღწეული შედეგების მიხედვით შეფასდეს საბიუჯეტო ხარჯების ეფექტიანობა და მიზნობრიობის დაცვა:

- კანონიერად მოხდა თუ არა რესურსების განაწილება და გამოყენება, დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად;

- მოხდა თუ არა რესურსების განაწილება და გამოყენება იურიდიული და სახელშეკრულებო მოთხოვნების, მათ შორის, შესაბამისი საკანონმდებლო ორგანოების მიერ დადგენილი ფინანსური შეზღუდვების შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის მიერ, რომლებიც იმყოფება ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდზე გადასვლის პროცესში და პირველად გამოიყენებს სსბასს, (მომზადებულია სსბასს 33—დარიცხვის მეთოდის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს) პირველად გამოყენება, თანახმად გარდამავალი პერიოდის სსბასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგება) უმეტესწილად დაცულია სტანდარტების დებულებები. ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანად არის წარდგენილი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის ფინანსური შედეგების და ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ და არ ეწინააღმდეგება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ს ს ბ ა ს ს) საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა ეკონომიკური მოვლენა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით მოთხოვნილი შეფასების და აღიარების კრიტერიუმების გათვალისწინებით არის წარდგენილი. სსბასს განსაზღვრული ყველა მიზანის მიღწევა არ არის სავალდებულო,რადგან მუნიციპალიტეტის მიზანს არ წარმოადგენს და არ არის ორიენტირებული მოგების მიღებაზე - კანონმდებლობით ის პასუხისმგებელია საზოგადოებისთვის მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდებაზე, როგორც ეს პროგრამული ბიუჯეტით არის განსაზღვრული. საანგარიშგებო პერიოდში განხორციელებული ოპერაციების უფრო სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით, ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად წარდგენილია დამატებითი ინფორმაცია, მათ შორის ინფორმაცია, იმ მუხლების შესახებ, რომლებიც არ აკმაყოფილებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარების კრიტერიუმებს,

მუნიციპალიტეტის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების და სახელმწიფო ხაზინაში წარდგენის ვალდებულება, ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით, აკისრია მუნიციპალიტეტს და დადგენილია სსბასს საფუძველზე მომზადებულ შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტით. მუნიციპალიტეტის შიდა სააღრიცხვო პოლიტიკა ასახავს იმ სპეციფიკურ საკითხებს, რომელიც არ რეგულირდება საქართველოს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის მარეგულირებელი მეთოდოლოგიით და სსბასს (IPSAS) -ით და იწვევს მათი მოთხოვნებიდან გადახრას, ან მეთოდოლოგია და სტანდარტები იძლევა არჩევანის უფლებას.

უზრუნველყოფილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სისრულე - მოიცავს ყველა კონტროლირებული ერთეულის - მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ და საბიუჯეტო კოდექსით საბიუჯეტო ორგანიზაციად განსაზღვრულ ა(ა)იპ-ების ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლირებული ერთეული არ გამოირიცხება კონსოლიდაციიდან იმ მიზეზით, რომ მისი საქმიანობები განსხვავდება ეკონომიკურ ერთეულში შემავალი სხვა ერთეულების საქმიანობისაგან (საქონლისა და მომსახურების ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ფასებით ახდენს მიწოდებას მაშინ როდესაც ეკონომიკურ ერთეულში შემავალი სხვა ერთეულები უსასყიდლოდ ან/და ეკონომიკურად

უმნიშვნელო ფასებით და ა.შ); კონსოლიდირებული და ა(ა)იპ-ების ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკით, რომელიც სამოქმედოდ მიღებულია მუნიციპალიტეტის მიერ. ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს, დაცულია ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლების ყველა კრიტერიუმი, არაარსებითი გამონაკლისების გარდა. სსბასს მოთხოვნების გათვალისწინებით სრული კონსოლიდაცია ვერ განხორციელდა, ვინაიდან ხაზინის ელექტრონული საინფორაციო სისტემით გათვალისწინებული ელექტრონული მთავარი წიგნის ფუნქციონალი ამ ეტაპზე დასრულებული სახით არ ფუნქციონირებს და ინფორმაცია, საანგარიშგებო პერიოდში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ა(ა)იპ-ებისთვის სუბსიდიის მუხლით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში გაწული საკასო ხარჯები ეკონომიკური შინაარსის მიხედვით არ არის აღრიცხული, ვინაიდან სუბსიდია ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებად არ არის დეტალიზებული (სუბსიდიის ხარჯების ქვეტიპებს დეტალური მუხლების მიხედვით ხაზინის სისტემა არ ითვალისწინებს და საკასო ხარჯების გაწევა და აღრიცხვა ქვეტიპებად არ ხდება). მოთხოვნები და ვალდებულებები, რომლებიც წარმოშობილია მუნიციპალიტეტსა (მაკონტროლებელსა) და კონტროლირებულ ერთეულებს შორის შიდა ოპერაციებით, ფინანსური ანგარიშგებიდან ელიმინირებულია, ხოლო კონსოლიდაციას დაქვემდებარებულ ერთეულებს შორის განხორციელებული ოპერაციების და ნაშთების ელიმინირება სრულად უზრუნველყოფილია.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო წლის საწყის თარიღსა და ფინანსური ანგარიშგების თარიღს შორის მომხდარი ყველა ეკონომიკური მოვლენა, რომლებიც დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტებია:

ა) აქტივები;

ბ) ვალდებულებები;

გ) წმინდა აქტივები/კაპიტალი;

დ) შემოსავლები;

ე) ხარჯები;

ვ) წმინდა აქტივებში /კაპიტალში განხორციელებული სხვა ცვლილებები;

ზ) ფულადი სახსრების ნაკადები.

მუნიციპალიტეტი ბუღალტრულ აღრიცხვაში იყენებს შიდა სააღრიცხვო პოლიტიკით განსაზღვრულ სსბასს საფუძველზე მომზადებულ სამუშაო ანგარიშთა გეგმას. სამუშაო ანგარიშების გეგმის სტრუქტურა ასევე ითვალისწინებს:

საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნებს;

მმართველობითი აღრიცხვის და შესაბამისი ანალიზური აღრიცხვის წესებს და პირობებს;

სტატისტიკურ და სხვა არაფინანსური ანგარიშების მომზადების წესებს.

ბუღალტრულ ანგარიშებზე ჩანაწერების შეტანის საფუძველს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის გარე და შიდა დოკუმენტი, რომელიც ასახავს ეკონომიკური მოვლენის მოხდენის ფაქტს. ეკონომიკური მოვლენების მოკორესპონდენტო ბუღალტრულ ანგარიშებზე ასახვა ხდება პირველად დოკუმენტებში მითითებული ოპერაციების და სხვა მოვლენების მოხდენის თარიღით და მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებას, რომელსაც უკავშირდება აღნიშნული მოვლენა. მუდმივ და დროებით ანგარიშებზე ჩანაწერები კეთდება ორმაგი ჩაწერის პრინციპის გამოყენებით, ფულად გამოსახულებაში.

დროებით ანგარიშებზე ასახული შემოსავლები და ხარჯები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ანგარიშგების თარიღისთვის 31 დეკემბერს გადაიხურება წმინდა აქტივების/კაპიტალის ანგარიშებზე. საცნობარო ანგარიშები გამოიყენება ფინანსური მდგომარეობის და შედეგების შესახებ დამატებითი ფინანსური ინფორმაციის წარსადგენად. საცნობარო ანგარიშებზე ჩანაწერები კეთდება ორმაგი ჩანაწერის პრინციპის გამოყენების გარეშე, ფულად გამოსახულებაში.

მუნიციპალიტეტის და ყველა კონტროლირებული ერთეულების მიერ საბიუჯეტო ასიგნებები გამოყენებული იყო დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით და სახაზინო მომსახურების პრინციპებით განსაზღვრული მოთხოვნები, გადახდების განხორციელების წესებით დადგენილ ეტაპებზე (ვალდებულების რეგისტრაცია, წინასწარი გადახდა, დამოწმება) დაცულია, ხარჯები გაწეულია და ფინანსური ვალდებულებები საანგარიშო პერიოდში აღიარებულია „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მოთხოვნების დაცვით, რაც ითვალისწინებს: - შესაბამისი დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების ზევით გადახდაზე ვალდებულების აღება დაუშვებელია; ასევე ასიგნებების ზევით ფინანსური ვალდებულების აღება დაუშვებელია, გარდა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და მრავალწლიანი შესყიდვებით ნაკისრი ვალდებულებებისა.

საბიუჯეტო თანხების გადახარჯვა არ მომხდარა. ხარჯები არ გაწეულა ასიგნების გარეშე, გარდა კანომდებლობით განსაზღვრული გამონაკლისებისა. კანონმდებლობით განსაზღვრული და სახაზინო მომსახურების პრინციპებით დაშვებული გამონაკლისები შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით გამოყენებულია როგორც დარიცხვის მეთოდით ხარჯების აღრიცხვის, ასევე ბიუჯეტის საკასო შესრულების დროს, საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული კომუნალური და უწყვეტი მომსახურების ხარჯებთან მიმართებაში.

მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე - მომდევნო საბიუჯეტო წელს გამოყოფილი რესურსებით განაგრძობს ფუნქციების შესრულებას და პროგნოზირებად მომავალში არ იგეგმება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს არსებით შეცდომებს: არ არის გამოტოვებული არსებითი აღრიცხვის ელემენტები ან არც არსებითი უზუსტობებია დაშვებული , რომელიც ინდივიდუალურად ან ერთობლიობაში გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე ან მომხმარებლის შეფასებებზე. არსებითობის შეფასება ხდება შიდა საარრიცხვო პოლიტიკით განსაზღვრული კრიტერიუმებით, რომელიც ითვალისწინებს შეფასებას რიცხობრივი მაჩვენებლის ან შინაარსის მიხედვით, რომელსაც ძირითადად განსაზღვრავს პროგრამული ბიუჯეტის მოთხოვნები, საბიუჯეტო კანონმდებლობა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.

ფინანსური ანგარიშგების პაკეტი მოიცავს:

(ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;

(ბ) ფინანსური შედეგების ანგარიშგებას;

(გ) წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას;

(ე) ბიუჯეტისა და რეალური თანხების შედარებას,

(ვ) განმარტებითი შენიშვნას.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია გასული პერიოდის შესადარისი ინფორმაცია, მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ყველა რიცხობრივი მონაცემის შესაბამისად, გარდა ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნისა (შენიშვნა №20).

სსბასს 1 თანახმად: როდესაც იცვლება ფინანსურ ანგარიშგებაში მუხლების წარდგენის ფორმა ან კლასიფიკაცია, უნდა მოხდეს შესადარისი თანხების რეკლასიფიკაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რეკლასიფიკაცია შეუძლებელია. შეუძლებელი მოთხოვნის შესრულება შეუძლებლად მიიჩნევა მაშინ, როდესაც ერთეულს არ შეუძლია მისი დაკმაყოფილება, ყველა გონივრული მცდელობის მიუხედავად.

როდესაც შესადარისი თანხების რეკლასიფიკაციის განხორციელება შეუძლებელია, ერთეულმა განმარტებით შენიშვნებში უნდა ახსნას:

(ა) თანხების რეკლასიფიკაციის განუხორციელებლობის უშუალო მიზეზი; და

(ბ) იმ შესწორებების ხასიათი, რომლებიც საჭირო იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა თანხების რეკლასიფიკაცია.

სსბასს ეს რეკომენდაცია გათვალისწინებულია: - მუნიციპალიტეტის ბუღალტრული აღრიცხვის ადრინდელი საფუძველით. გასულ წლებში ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა არასრული დარიცხვის მეთოდით და არ აღრიცხავდა ბიუჯეტის შემოსავლებს და ფულად სახსრებს. ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოძრაობის ანგარიშგება მზადდებოდა საკასო მეთოდით ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგების ჭრილში, რომელიც შესაბამისობაშია ფულადი სახსრების პირდაპირი მეთოდით ანგარიშგებასთან, ხოლო სსბასს პირველად გამოყენების შემთხვევაში, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაზე შენიშვნა №20 სახით განმარტებითი შენიშვნის მომზადება მოითხოვს არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებას, რისთვის აუცილებელია წინა საანგარიშო პერიოდში აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებზე, ასევე ხარჯებზე და შემოსავლებზე სრული დარიცხვის ინფორმაციის მომზადება. შიდა სააღრიცხვო პოლიტიკით განსაზღვრულია, გამონაკლისის სახით მიმდინარე პერიოდში ბიუჯეტის შემოსავლების გარკვეული კატეგორიების აღრიცხვა საკასო მეთოდით(სანამ ხაზინის ელეტრონულ სისტემაში ელექტრონული მთავარი წიგნი სრული ფუნქციონალით არ ამუშავდება); შესაბამისად მოხდა წინა წლის შემოსავლების რეკლასიფიცირება დარიცხული შემოსავლების სახით, რაც წარმოდგენილია ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში და გაანგარიშებულია ნამეტი და დეფიციტი სსბასს მიხედვით. მიუხედავად ამისა, 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, საოპერაციო საქმიანობით ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისთვის, ვერ მოხერხდა არაპირდაპირი მეთოდით წინა წლის ფინანსური შედეგების კორექტირებების მაჩვენებელების იმგვარად შეგროვება, რაც მუნიციპალიტეტს მისცემდა რეკლასიფიკაციის საშუალებას და ასევე ინფორმაციის ხელახლა შექმნაც შეუძლებელი იყო. არც ინსტრუქციით დამტკიცებული ანგარიშგების ფორმების მონაცემები იძლევა მაკორიკტირებელ სრულ მაჩვენებლებს. შედეგად შეუძლებელია შენიშვნა №20 მიზნებისთვის გასული საანგარიშო წლის მონაცემების შეგროვება. ასევე ანგარიშგების ფორმები არ ითვალისწინებს აქტივების და

ვალდებულებების კლასიფიცირებას წყაროების მიხედვით- საბიუჯეტო და საკუთარი სახსრების სახით, ამდენად შენიშვნა №20 - წმინდა ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, მომზადებულია ერთიანად ორივე წყაროს მიხედვით. საკუთარი სახსრები მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო შემოსავლებთან მიმართებაში 2%-ს არ აღემატება, შესაბამისად ფულის მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისთვის, საკუთარი სახსრების სახით ფულადი ნაკადების განცალკევებლად წარდგენას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

აქტივებისა და ვალდებულებების ან ხარჯებისა და შემოსავლების ურთიერთგადაფარვა, საანგარიშო პერიოდში არ მომხდარა, რომელიც როგორც სსბასს ასევე მოქმედი კანონმდებლობით დაუშვებელია, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა. საანგარიშო პერიოდში გამონაკლის შემთხვევას ადგილი არ ქონია.

შემდგომში მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების ფორმები წარმოდგენილია ინსტრუქციით დასამტკიცებელი ფორმატით, მათ შორის საბალანსო მუხლები ნულოვანი ნაშთით. განმარტებითი შენიშვნების ცხრილები ნულოვანი ნაშთებით ანგარიშგებაში წარმოდგენილია. ხოლო დაკავშირებული ტექსტური ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციები, მუნიციპალიტეტის საქმიანობისთან დაკავშირებით, ასახულია შენიშვნა №1 -ში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად არის ასახული მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივები და მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები სსბასს განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. . აქტივებისა და ვალდებულებების თითოეული მუხლისათვის ასახულია თანხები, რომელთა მიღება ან დაფარვა მოსალოდნელია:

(ა) საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არა უმეტეს თორმეტ თვეში (მოკლევადიანი); და

(ბ) საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტ თვეზე მეტი პერიოდის განმავლობაში (გრძელვადიანი).

ინსტრუქციით დადგენილი აუცილებელი მუხლების გარდა, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დამატებითი მუხლების წარდგენის საჭიროება არ არის, ხოლო საცნობარო ანგარიშებზე ასახული ინფორმაციები გამჟღავნებულია.

ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში აღიარებულია საანგარიშგებო პერიოდში შემოსავლებისა და ხარჯების ყველა მუხლი, როგორც ნამეტი ან დეფიციტი. შემოსავლებისა და ხარჯების მუხლები განსაზღვრულია საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით და გათვალისწინებულია სსბასს მოთხოვნები. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების გარდა, მუნიციპალიტეტის ფინანსური შედეგების ელემენტების ასახსნელად, არსებითობის ფაქტორის, შემოსავლებისა და ხარჯების მუხლების შინაარსისა და ფუნქციების გათვალისწინებით, დამატებითი მუხლებისა და სახელწოდებების და წარდგენის თანამიმდევრულობის შეცვლის აუცილებლობა არ არის. ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში და განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილია მთლიანი შემოსავლის ქვეჯგუფი, რომლის დაჯგუფება/კლასიფიკაცია მოხდა ოპერაციების შინაარსის მიხედვით, ხოლო აღიარებული ხარჯების კლასიფიკაცია - მათი ეკონომიკური

შინაარსის მიხედვით, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამის ინფორმაციას იძლევა. ფუნქციების მიხედვით ხარჯები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული არ არის.

შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად, მუნიციპალიტეტის შემოსავალი, კანონმდებლობის საფუძველზე, მოიცავს როგორც მუნიციპალიტეტის მიერ თავისი საქმიანობის მიზნებისთვის მიღებული ან მისაღები მომსახურების პოტენციალის, ასევე ბიუჯეტის შემოსავლების ანგარიშზე მისაღები ან მიღებული ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ასევე, მუნიციპალიტეტის კონტროლირებული ერთეულების მიერ, ადგილობრივი თვითმმართველობის სახელით ან მესამე პირების სახელით ბიუჯეტის შემოსავლების ანგარიშზე მისაღები ან მიღებული ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია , რომ შეფასდეს:

- მუნიციპალიტეტის მიერ ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გამომუშავების უნარი და
- მუნიციპალიტეტის მოთხოვნილებები, ფულადი სახსრების გამოყენების შესახებ.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება და განმარტებები წარმოდგენილია **სსბასს 2 – ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ**, შესაბამისად. სსბასს გადახრა და ფულადი სახსრებს აღიარება მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული იქნება შიდა სააღრიცხვო პოლიტიკით და საფუძვლად გამოყენებული იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის ძირითადი პრინციპი - **„დამოუკიდებლობა** – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დამოუკიდებლობა, რომელსაც უზრუნველყოფს საკუთარი შემოსულობები და ნაშთი, აგრეთვე საკუთარი გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება, როგორც ფინანსური ანგარიშგების სავალდებულო კომპონენტი, მომზადებულია პირდაპირი მეთოდით. ანგარიშგებაში ფულად ნაკადებზე ინფორმაციის საფუძველს წარმოადგენს საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრებით ბიუჯეტების შესრულების ანგარიშგების მაჩვენებლები და სახაზინო ანგარიშებზე შემოსულობებისა და გადასახდელების აღრიცხვის მონაცემები. ხაზინის ერთიან ანგარიშზე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშგების წესების შესაბამისად შემოსავლებში აისახება გაურკვეველი თანხები, რომელიც ანგარიშგების თარიღისთვის ასახულია ხაზინის ერთიან ანგარიშზე, როგორც საკასო ხარჯის შემდეგ უკან მობრუნებული თანხები, რომელიც არ არის ბიუჯეტში მიმართული. ფულის მოძრაობის ანგარიშგების მონაცემების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგების მონაცემებთან შეჯერების მიზნით მომზადებულია განმარტებითი შენიშვნა №20 ცხრილის სახით, სადაც ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობების შედეგად წარმოდგენილია არაპირდაპირი მეთოდით.

წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში ასახულია:

_ საანგარიშგებო პერიოდის ნამეტი / დეფიციტი;

_ სსბასს 3-ის თანახმად სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების შედეგები და აღიარებული შეცდომების კორექტირებები, რომლებიც განცალკევებით არის წარმოდგენილი.
ორ საანგარიშგებო თარიღს (საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი და დასასრული) შორის წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებებით ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებია წმინდა აქტივების ზრდა ან შემცირება საანგარიშგებო პერიოდში. ანგარიშგებაში ასახულია შემოსავლებისა და ხარჯების ჯამური თანხა.

წინა პერიოდის კაპიტალის საწყისი ნაშთი კორექტირებულია, რაც გამოწვეულია წინა საანგარიშო პერიოდში არასრული დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის წარმოებით. კორექტირების მაჩვენებელი არსებითია შინაარსობრივად /მოცულობითი მაჩვენებლით და ახდენს მნიშვნელოვან გავლენას შესადარ ინფორმაციაზე. ასევე წინა საანგარიშო პერიოდში დეპოზიტებით ვალდებულების კატეგორიაში რიცხული ბიუჯეტის გარდამავალი ნაშთი რეკლასიფიცირებულია და გაზრდილია კაპიტალი ვალდებულების ანულირებით. გარდამავალი ნაშთი ასახულია ისე ,როგორც ბიუჯეტის შემოსავლების აღიარებით წარმოქმნილი გაუხარჯავი ფულადი სახსრები.

სსბასს 24 თანახმად, ფინანსური ანგარიშგების ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება მომზადებულია საკასო მეთოდის შესაბამისად. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება ინსტრუქციის თანახმად მომზადებულია მხოლოდ ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტისთვის. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებულია საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ფინანსური ანგარიშგებისგან დამოუკიდებლად. მუნიციპალიტეტის სამეურნეო ოპერაციების შინაარსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, ძირითადი საქმიანობების აღწერა და შესაბამის კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს საბიუჯეტო საქმოანობას, მოცემულია ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებაში.

ანგარიშგების თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

მუნიციპალიტეტი სსბასს 14 თანახმად ასახავს ანგარიშგების თარიღის შემდგომ მოვლენებს. ანგარიშგების თარიღის შემდეგ მომხდარ მოვლენებს მიეკუთვნება ისეთი მოვლენები, რომლებიც წარმოიქმნება ანგარიშგების თარიღსა და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღს შორის. მოვლენები, რომლებზეც ერთეულს გააჩნია მტკიცებულებები ანგარიშგების თარიღისათვის პირობების არსებობაზე, განიხილება ანგარიშგების თარიღის შემდგომ მაკორექტირებელ მოვლენებად, ხოლო მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში წარმოქმნილ პირობებზე – ანგარიშგების თარიღის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენებად. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენების შემთხვევაში ხდება ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების კორექტირება ან ისეთი მუხლების აღიარება, რომლებიც მანამდე არ იყო აღიარებული, ხოლო ანგარიშგების თარიღის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ორგანიზაცის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, აისახება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში და განმარტებით შენიშვნებში აისახება ანგარიშგების თარიღის შემდეგ მომხდარი

მხოლოდ ისეთი მაკორექტირებელი და არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც წარმოიქმნება ანგარიშგების თარიღსა და მუნიციპალიტეტის (მაკონტროლებელი ერთეულის) ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღს შორის პერიოდში. შემდგომ, ანგარიშგების დამტკიცებისა და სახაზინო სამსახურის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღს შორის პერიოდში, მომხდარი მაკორექტირებელი და არამაკორექტირებელი მოვლენების ასახვა მუნიციპალიტეტის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და განმარტებით შენიშვნებში არ ხდება.

3. **სააღრიცხვო პოლიტიკების ცვლილებების აღწერილობა, რომლებიც აისახა ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის რესტროსპექტული გამოყენების სახით; ასევე, წინა საანგარიშგებო პერიოდის შესადარის ინფორმაციასთან დაკავშირებით ანალოგიური მონაცემები**

საანგარიშო პერიოდში სააღრიცხვო პოლიტიკის რეტროსპექტული გადაანგარიშებით გასული პერიოდის საწისი საბოლოო ნაშთები დაზუსტებულია 4029264 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია სსბასს პირველად გამოყენებით ბუღალტრული აღრიცხვის წესების და პირობების შეცვლით, რაც ძირითადად დაკავშირებულია ბიუჯეტის შემოსავლების და მუნიციპალიტეტის ფულადი სახსრების დარიცხვის მეთოდით სრულად აღრიცხვასთან,

4. **წინა პერიოდე(ებ)ის არსებითი შეცდომების აღწერილობა, რომლებიც გასწორდა რეტროსპექტული გადაანგარიშების შედეგად; ასევე, წინა საანგარიშგებო პერიოდის შესადარის ინფორმაციასთან დაკავშირებული ანალოგიური მონაცემები**

წინა საანგარიშო პერიოდის არსებითი შეცდომები ანგარიშგების მომზადების დროს გასწორდა რეტროსპექტული გადაანგარიშებით.

5. **წინა პერიოდე(ებ)ის არაარსებითი შეცდომების აღწერილობა, რომლებიც გასწორდა პერსპექტიულად, მიმდინარე პერიოდის ანგარიშგებაში**

ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს არაარსებით შეცდომებს, ვინაიდან არ გამოვლენილა ანგარიშგების მომზადების დროს.

6. **არსებითი არამაკორექტირებელი მოვლენის შესახებ დეტალური ინფორმაცია, ფინანსური შედეგის წინასწარ შეფასებასთან ერთად, ან შესაბამისი მიზეზების მითითებით, თუ რატომ ვერ მოხერხდა ფინანსური შედეგების წინასწარი განსაზღვრა**

არამაკორექტირებელ მოვლენებს წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისები საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული კომუნალური ხარჯების და უწყვეტი მომსახურების შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებების ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან დაფარვის წესით, რომელიც გამოყენებულია 2021 წლის ხარჯებთან მიმართებაში.

ფულადი სახსრები და ეკვივალენტები შენიშვნა 2 ა–თან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულად სახსრებად ასახულია ხაზინის ერთიან ანგარიშთა სისტემაში ასახული მუნიციპალიტეტის კუთვნილი როგორც საბიუჯეტო, ასევე არასაბიუჯეტო ფულადი სახსრების ნაშთები საანგარიშგებო პერიოდის საწყის და საბოლოო ნაშთების სახით, რომელიც დადასტურებულია სახაზინო და საბანკო ამონაწერებით. უცხოურ ვალუტაში მუნიციპალიტეტს ნაშთი არ ერიცხება. არასაბიუჯეტო სახსრების სახით რიცხული თანხები არის კონტროლირებული ერთეულების - ა(ა)იპ-ების კუთვნილი ფულადი სახსრები, რომლებიც ასახულია ამ ერთეულების ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც მოთხოვნა დებიტორული დავალიანების სახით მუნიციპალიტეტის მიმართ და მუნიციპალიტეტის მიერ აღრიცხულია, როგორც ვალდებულება ა(ა)იპ-ების მიმართ. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს სსბასსს მიხედვით კონსოლიდაციის მოთხვნების შესაბამისად ელიმინირებულია დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები და აღიარებულია მუნციპალიტეტის ფულად არასაბიუჯეტო სახსრებად. ფულადი სახსრების ექვივალენტები მუნიციპალიტეტს არ გააჩნია: საბიუჯეტო კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, დამატებითი საბიუჯეტო შემოსავლების მიღების მიზნით, კომერციულ ბანკებში დროებით განთავსებული ფულადი სახსრები არ აკმაყოფილებენ სსბასს დადგენილ კრიტერიუმებს და ფულადი სახსრების ექვივალენტებად არ აღირიცხება. სალაროში არსებული ფულადი სახსრები არის კონტროლირებული ერთეულების მიერ არასაბიუჯეტო საქმიანობაში შემოსავლების ნაღდი ანგარიშსწორებით საანგარიშო პერიოდის ბოლოს მიღების შედეგად ანგარიშგების თარიღისთვის რიცხული ფულის ნაშთი, რომელიც საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, მიიმართება ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

მუნიციპალიტეტის ფულად სახსრების ნაშთში ასახულია საკასო ხარჯების მობრუნების შედეგად სახაზინო კოდზე გაურკვეველი თანხების სტატუსით რიცხული სახსრები, რომელიც ბიუჯეტში მიიმართება მომდევნო საბიუჯეტო წელს, რაგორც ბიუჯეტის შემოსავალი წინა წლებში ბიუჯეტების გამოუყენებელი სახსრების მობრუნების შედეგად მიღებული შემოსავლები.

მიმდინარე ინვესტიციები და მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები- შენიშვნა 2 ა–თან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

სსბასს-ით განსაზღვრული ინვესტიციები მუნიციპალიტეტს არ გააჩნია. დებიტორული დავალიანების სახით მოთხოვნის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც სავარაუდოა მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღნიშნული აქტივისგან. მოკლევადიანი მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება ნომინალური ღირებულებით, რომელიც ანგარიშგების თარიღისათვის შესაძლებელია შემცირდეს საეჭვო მოთხოვნების ანარიცხების თანხებით. ანგარიშგების თარიღისთვის რიცხული მოთხოვნები არის შემოსავლების დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის შედეგად წარმოშობილი მოთხოვნები. შესადარი ინფორმაციის მომზადების მიზნით, წინა წლის ბალანსზე რიცხული დებიტორული დავალიანებები რეკლასიფიცირებულია სსბასს საფუძველზე მომზადებული ანგარიშთა გეგმის მიხედვით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მუნიციპალიტეტი აფასებს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება დებიტორული დავალიანებების გაუფასურების შესახებ **სსბასს 19 - ანარიცხები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები,** მიხედვით. თუ თანხების მიღება შეუძლებელია, ამ შემთხვევაში მთლიანად ნულდება შესაბამისი მოთხოვნა და გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად. თუ არსებობს დებიტორული დავალიანების გარკვეული ნაწილის გადაუხდელობის ალბათობა, დარჩენილი დებიტორული დავალიანების ნაშთის შესაბამის ანარიცხები აღიარდება და აღიარდება საეჭვო დებიტორული დავალიანების ხარჯი ზარალის სახით.

თუ მუნიციპალიტეტმა მიიღო თანხები უკვე გაუფასურებული მოთხოვნიდან , მაშინ მიღებული თანხები აღირიცხება როგორც შემოსავალი გაუფასურების უკუგატარების შედეგად და აისახება ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში. საანგარიშო პერიოდში გაუფასურებული დებიტორული დავალიანებების საღრიცხვო შეფასების ცვლილებით მუნიციპალიტეტს შემოსავალი არ მიუღია.

მოთხოვნების თანხების ჩამოწერა და დებიტორული დავალიანების დაფარვა ხდება მაშინ, როდესაც :

- მიღებულია მოთხოვნასთან დაკავშირებული ყველა თანხა;
- მისაღებ თანხებთან დაკავშირებული ყველა უფლებები გადაეცა სხვა პირს;
- მიღებულია მომსახურება ან აქტივი.

ანგარიშგების თარიღისთვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული დებიტორული დავალიანებები რეალურია და შეფასებულია საიმედოდ. დადასტურებულია, რომ მუნიციპალიტეტში მოსალოდნელია დავალიანებებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება. პირობითი აქტივები და ჩამოწერილი დებიტორული დავალიანებები საცნობარო ანგარიშებზე მუნიციპალიტეტს ანგარიშგების თარიღისთვის არ ერიცხება.

მატერიალური მარაგები- შენიშვნა №3 -თან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

მატერიალური მარაგების აღრიცხვას მუნიციპალიტეტი აწარმოებს სსბასს 12 „მატერიალური მარაგები“ შესაბამისად ;

მუნიციპალიტეტის მატერიალური მარაგები არის არაფინანსური აქტივები:

(ა). მომსახურების პროცესში გამოსაყენებელი ნედლეულისა და მასალების ფორმით;

(ბ.) გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების - ტექნიკა, ინვენტარი და მოწყობილობების სახით;

(გ.) ნედლეულისა და მასალების და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ფორმით, რომლებიც ინახება სხვა ერთეულებზე განაწილებისათვის ჩვეულებრივ (საოპერაციო) რეჟიმში.

(დ.) ნედლეულისა და მასალების და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ფორმით, რომლებიც ინახება გაყიდვისთვის.

(ე) მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილებს, გარდა ისეთი სათადარიგო ნაწილებისა, რომლებიც აკმაყოფილებს ძირითად აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, და სხვა მარაგებს.

მატერიალური მარაგები მოიცავს მცირეფასიან გრძელვადიან არაფინანსურ აქტივებს და სხვა დანარჩენ მატერიალურ მარაგებს. მცირეფასიანი აქტივებია - მრავალჯერადი გამოყენების ტექნიკა, ინვენტარი და მოწყობილობა, რომლებიც არ აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ძირითადი აქტივების აღიარების კრიტერიუმს, კერძოდ, არ წარმოადგენენ 500 ლარზე მეტი ღირებულების აქტივებს, მიუხედავად იმისა, რომ ერთ წელზე მეტი ხნის ვადით ხდება მათი გამოყენება.

მუნიციპალიტეტი მარაგს აღიარებს იმ თარიღით, როდესაც ხორციელდება აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი რისკისა და სარგებლის მისთვის გადაცემა. მატერიალური მარაგების შეფასებისას იყენებს თვითღირებულების მეთოდს, როდესაც მათი შეძენა ხდება გაცვლითი ოპერაციის გზით. მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს შეძენის (ტრანსპორტირებისა და სხვა სავალდებულო ხარჯების გათვალისწინებით) დანახარჯს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. მატერიალური მარაგების შესყიდვის შემთხვევაში, ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან, მარაგების თვითღირებულებაში შემავალი სსბასს განსაზღვრული დანახარჯების საკასო ხარჯი გაიწევა საბიუჯეტო კლასიფიკაციის იმ მუხლიდან, საიდანაც ხდება შესყიდვის საკასო ხარჯის გაწევა.

არაგაცვლითი ოპერაციის შემთხვევაში მიღებული ისეთი მატერიალური მარაგების შეფასებისას, რომელთაც საბალანსო ღირებულება გააჩნიათ, აღიარდება გადმომცემი ერთეულის მიერ აღნიშნული მატერიალური მარაგების შესაფასებლად გამოყენებული თვითღირებულების ოდენობით ან ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებული სხვა თანხით, თუ ოპერაციის მეორე მხარეს წარმოადგენს საბიუჯეტო ორგანიზაცია. სხვა შემთხვევაში მუნიციპალიტეტი ითვალისწინებს სსბასს მოთხოვნებს სამართლიანი ღირებულების დადგენაზე.

მარაგები არაგაცვლითი ოპერაციით მუნიციპალიტეტს საანგარიშო პერიოდში არ მიუღია.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის მიზნით სსბასს განსაზღვრული ნეტო სარეალიზაციო და ჩანაცვლების ღირებულებები მუნიციპალიტეტის მიერ არ გამოიყენება, კანონმდებლობით განსაზღვრული საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, გარდა აუქციონის გზით მარაგების გაყიდვის შემთხვევისა. აუქციონის ჩატარების წესის თანახმად, ექსპერტული შეფასებით დგინდება გასაყიდი საქონლის

სარეალიზაციო ფასი, რაც აისახება ბუღალტრულ აღრიცხვაში გასაყიდი მატერიალური მარაგების აღიარების დროს არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით. გაყიდვის შემთხვევაში სარეალიზაციო ღირებულება აღიარდება რეალიზაციის ხარჯად - სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების ხარჯის კატეგორიაში, ხოლო მიღებული შემოსავალი სრულად აღიარდება დარიცხვის მეთოდით, როგორც საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი. ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში აისახება მოგება ან ზარალი, ხოლო შენიშვნა №15 და შენიშვნა №17 სრული შემოსავალი და სრული ხარჯი.

მუნიციპალიტეტის მიერ იმ მატერიალური მარაგების, რომელთა შესყიდვა საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში ხდება ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში და უსასყიდლოდ განაწილდება კონტროლირებულ ან/და სხვა ერთეულებზე, აღიარების შემთხვევაში, ჩანაცვლების ღირებულების განსაზღვრა არ ხდება და ხარჯად აღიარდება თვითღირებულებით.

მატერიალური მარაგები (გარდა გასაყიდად გამიზნული მატერიალური მარაგებისა, რომელთანაც დაკავშირებულია შემოსავალის მიღება), შესაბამისი პერიოდის ხარჯად აღიარდება:

(ა.) განაწილებისას, ექსპლუატაციაში გადაცემის მიზნით გაცემის შემთხვევაში;

(ბ.) საკუთრების უფლების და ყველა რისკის გადაცემისას, უსასყიდლოდ განაწილების შემთხვევაში.

(გ.) მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის შემთხვევაში, შესაბამისი მომსახურების დადასტურების შემდეგ.

(დ.) გადაცემისთანავე ან საბოლოო მოხმარების შემთხვევაში, თუ მატერიალური მარაგები გადაცემულია დადგენილი ნორმების ფარგლებში.

გასაყიდად გამიზნული მატერიალური მარაგები ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში, როცა ხდება მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება, როგორც განსაზღვრულია შემოსავლის სააღრიცხვო პოლიტიკით.

მატერიალური მარაგების დაზიანების, გაფუჭების ან სხვა მიზეზით დანაკარგი და დანაკლისი, აღიარდება როგორც ხარჯი ზარალის სახით იმ პერიოდში, როდესაც ქონდა შემთხვევას ადგილი. მატერიალური მარაგების ღირებულების შემცირება მისი გაუფასურების შედეგად, აღიარდება როგორც „მატერიალური მარაგების ღირებულების შემცირების ხარჯები“. ღირებულების აღდგენის შემთხვევაში აღიარდება როგორც შემოსავალი (კომპენსაცია) – „მატერიალური მარაგების ღირებულების შემცირების უკუგატარებით“. კომპენსირება (შემოსავალი) შეზღუდულია თავდაპირველად ხარჯად აღიარებული თანხით - არ აღემატება ღირებულების შემცირებით აღიარებული ზარალის მოცულობას.

მატერიალური მარაგების ხარჯად აღიარების შემთხვევაში, ხარჯის ჯგუფის და კატეგორიის განსაზღვრა ხდება იმ სამეურნეო ოპერაციის ეკონომიკური შინაარსის მიხედვით, რომელიც შეესაბამება მარაგების ფაქტობრივ გამოყენებას. სამეურნეო ოპერაციის ეკონომიკური შინაარსის დადგენისთვის გამოიყენება ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია და ბუღალტრული ანგარიშთა გეგმის ინსტრუქცია. ხარჯად აღიარებული მატერიალური მარაგების თვითღირებულების შესაფასებლად მუნიციპალიტეტი იყენებს

მარაგების აღრიცხვის სსბასს განსაზღვრულ მეთოდებს- საშუალო შეწონილს, ინდივიდუალი აღრიცხვის. როდესაც ხდება მარაგების გამოყენება ძირითადი აქტივების არსებითი გაუმჯობესებისთვის, ხდება მარაგების ღირებულების ასახვა ძირითად აქტივებზე, რაც სააღრიცხვო პოლიტიკით განსაზღვრული იქნება, როგორც საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა. საანგარიშო პერიოდში საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნის გზით ძირითადი აქტივების მიღების ოპერაცია არ განხორციელებულა. მცირეფასიანი გრძელვადიანი აქტივების სინთეზური აღრიცხვა ისეთი წესებით და პირობებით წარმოებს, როგორც სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების, ხოლო ანალიზური აღრიცხვა და ჩამოწერის პროცედურები ისეთი ფორმით არის დადგენილი, როგორც ძირითადი აქტივების შემთხვევაში. საცნობარო ანგარიშები ხარჯებში ჩამოწერილი მატერიალური მარაგების აღრიცხვისთვის გამოიყენება და აისახება მატერიალური მარაგების ექსპლუატაციიიდან ამოღებამდე. ანგარიშგების თარიღისთვის 04 საცნობარო ანგარიშზე არის მატერიალური მარაგი 630182ლარის , ხოლო დამატებით 010 საცნობარო ანგარიშზე ასახულია ექსპლუატაციაში გადაცემული ხარჯებში აღიარებული მცირეფასიანი გრძელვადიანი აქტივი 208670 ლარის. არაგაცვლითი ოპერაციით მიღებული მატერიალური მარაგების, რომელიც არ აკმაყოფილებს სარგებლის მიღების თაობაზე სსბასს განსაზღვრული კრიტერიუმებს, ორგანიზაციის მიერ არ აღიარდება და ასახვისთვის შექმნილია საცნობარო ანგარიში „02 – პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მარაგები“. 8076ლარი. საცნობარო ანგარიშზე ჩანაწერის ანულირების საფუძველია მარაგების გასვლის დამადასტურებელი დოკუმენტის საბუღალტრო სამსახურში წარმოდგენა. არაგაცვლითი ოპერაციის ფარგლებში (სხვისთვის გადასაცემად გამიზნული) შეძენილი მარაგები, რომელიც არ აკმაყოფილებს სარგებლის მიღების თაობაზე სსბასს განსაზღვრული კრიტერიუმებს, მუნიციპალიტეტის მიერ არ აღიარდება და დანიშნულებით გადაცემამდე აისახება საცნობარო ანგარიშზე - „03 -სხვისთვის გადასაცემი მარაგები“. საცნობარო ანგარიშზე ჩანაწერის ანულირების საფუძველია მარაგების დანიშნულებით გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები შენიშვნა 4 თან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

სხვა მიმდინარე აქტივები ანგარიშგების თარიღისთვის წარმოშობილია წინასწარი (ავანსად) გადასახდელების გადახდით. წინასწარგადახდილი აქტივის შეფასება ხდება გადახდილი თანხის მიხედვით.

წინასწარი გადახდები საანგარიშო პერიოდში განხორციელებულია ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან ბიუჯეტის გადასახდელების გადახდაზე მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული წინასწარი გადახდები არ ითხოვდა გარანტიის წარდგენას, რაც აღირიცხება საცნობარო ანგარიშების მეშვეობით. წინასწარ გადახდებზე მოქმედი კანონმდებლობით

წარმოდგენილია გარანტიები, რაც ასახულია საცნობარო ანგარიშებზე. გარანტიის თანხების ნაშთი ანგარიშგების თარიღისთვის შეადგენს 1615825 ლარს. დამოწმების ვადები ყველა სამეურნეო ოპერაციაზე დაცულია და საანგარიშო პერიოდში გადავადების შემთხვევები არ ყოფილა. მიმდინარე აქტივების სახით რიცხული დებიტორული დავალიანებების დაფარვა ხდება აქტივის აღიარებით ან საქონლისა და მომსახურების მიღებით ან გადარიცხული თანხების უკან მობრუნებით. მიმდინარე წელს გადარიცხული თანხის იმავე წელს მობრუნების შემთხვევასი ხდება ბიუჯეტის საკასო ხარჯის შემცირება და შესაბამისი ასიგნების რესურსის აღდგენა, ხოლო მომდევნო წლებში მობრუნების შემთხვევაში, თანხა მიიმართება ბიუჯეტში, როგორც წინა წლის ბიუჯეტის გამოუყენებელი თანხების მობრუნების შედეგად მიღებული შემოსავლები. სსბასს მიხედვით ამ შემთხვევაში მობრუნებული თანხა არ განიხილება შემოსავლად, აღიარდება როგორც ფინანსური აქტივის კლებით მიღებული რესურსი და წარმოადგენს ბიუჯეტის შემოსულობებს (დაფინანსების წყაროს). შემოსავლად აღიარების პოლიტიკა განსაზღვრულია საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად და განიხილება როგორც გადახრა სსბასს-დან და სავალდებულოა განმარტებით შენიშვნებში ასეთი ინფორმაციის გამჟღავნება. თუ მობრუნებული თანხის ინდენტიფიცირებისთვის არ არის საკმარისი რეკვიზიტები, თანხა აისახება გაურკვეველი თანხების სახაზინო კოდზე, და ის აისახება ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში - საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრების სახით. შენიშვნა №20 -ში აღნიშნული თანხით კორექტირდება ფინანსური შედეგების მაჩვენებელი და არაპირდაპირი მეთოდით საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები დებიტორული დავალიანებების კონტროლის მიზნით, შიდა სააღრიცხვო პოლიტიკით განსაზღვრულია მათი შეფასება საიმედოობაზე, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის სავალდებულო ინვენტარიზაციის ჩატარების დროს. საინვენტარიზაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე ხდება შეფასება რამდენად რეალურია მოთხოვნები დებიტორული დავალიანების სახით.

გრძელვადიანი ფინანსური აქტივები - შენიშვნა 5-თან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

გრძელვადიანი ფინანსური აქტივები მოიცავს გრძელვადიან სესხებს როგორც საბიუჯეტო, ისე არასაბიუჯეტო

(საკუთარი) საქმიანობის ფარგლებში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციებს, სხვა გრძელვადიან ფინანსურ აქტივებს, გრძელვადიან დებიტორულ დავალიანებებსა და არაფულად მოთხოვნებს. გრძელვადიანი ფინანსური აქტივების თავდაპირველი შეფასებისათვის გამოყენებულია ნომინალური ღირებულება, რომელიც ანგარიშგების თარიღისათვის შეიძლება შემცირებულ იქნეს გაუფასურების ზარალის თანხებით. სესხები მუნიციპალიტეტის მიერ არ გაიცემა. გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებები საანგარიშო პერიოდში არ წარმოშობილა. მუნიციპალიტეტის მიერ გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულებით გაცემულია ძირითადი აქტივები, მათ შორის მიწა, მაგრამ არ არის აღიარებული ფინანსურ იჯარად, მიუხედავად სსბასს განსაზღვრული კრიტერიუმებთან შესაბამისობისა. ადრე არსებული აღრიცხვის პოლიტიკა ეფუძნებოდა კანონმდებლობას და მუნიციპალიტეტის საქმიანობის სპეციფიკას, რომლის მიხედვით აქტივები, რომელსაც მუნიციპალიტეტი არ იყენებს

საოპერაციო საქმნოანობაში, და რომლის პრივატიზაციიის გადაწყვეტილება არ არის მიღებული, საკუთრებაშია არა სსბასს შესაბამისად მუნიციპალიტეტის კომერციული მიზნებისთვის, არამედ იჯარით გაიცემა ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით. ამასთან ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების იჯარაში აუქციონის წესით გადაცემის შემთხვევაში, უპირატესობა ეძლევა მოიჯარეს მიერ გრძელვადიან საიჯარო ხელშეკრულებებს. შედეგად იჯარით გაცემული აქტივების აღრიცხვის წესი მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილია საოპერაციო იჯარის მიხედვით. აღირიცხება საიჯარო გადასახდელევბი დარიცხვის მეთოდით ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ფინანსური იჯარიდან მისაღები გრძელვადიანი დებიტორული დავალიანების აღიარება სსბასს მიხედვით არ ხდება. მუნიციპალიტეტის შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად (გარდამავალი დებულებები), მომდევნო საანგარიშო წელს იგეგმება საიჯარო ხელშეკრულების პირობების სსბასს შესაბამისობაზე შეფასება და, ფინანსური იჯარის შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის ჩამოყალიბება, რომლის მიხედვითაც, სტანდარტების მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში მოხდება იჯარით გაცემული აქტივების ფინანსური იჯარის სახით აღრიცხვა. არსებითობის პრინციპის გათვალისწინებით მოხდება სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით ანგარიშგებაში შესწორება რეტროსპექტული ან პერსპექტული გადაანგარიშებით. გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულებებით მუნიციპალიტეტის მიერ აქტივები არ გაცემულა და ფინანსური იჯარით გაცემული აქტივები არ ერიცხება.

სსბასს თანახმად, წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები თვითღრებულებით ფასდება, თუ ინვესტიციები არ ხორციელდება კონტროლირებულ ერთეულებში, მეკავშირე ერთეულებსა თუ ერთობლივ საქმიანობებში. ასეთ შემთხვევებში მათი შეფასება კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით ხდება. მიუხედავად სსბასს ამ მოთხოვნისა , მუნიციპალიტეტის მიერ მის მიერ დაფუძნებულ შპს წილი, როგორც მეკავშირე ერთეულში, აღიარებულია თვითღირებულებით და საანგარიშო პერიოდში კაპიტალ-მეთოდი არ იქნა გამოყენებული. წილების აღრიცხვის წესები განსაზღვრულია საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნების შესაბამისად და ანგარიშგებაში ასახულია გრძელვადიან ფინანსურ აქტივად - აქცია და კაპიტალის სახით. თუ იგეგმება ანგარიშგების თარიღიდან ერთი წლის (მომდევნო საბიუჯეტო წლის) განმავლობას წილის შემცირება (ამოღება), აქტივი რეკლასიფიცირდება გრძელვადიანი ფინანსური აქტივის მიმდინარე მოკლევადიან ნაწილად და აისახება მოკლევადიანი აქტივების სახით. საბიჯეტო კლასიფიკაციის თანახმად წილების ზრდა/კლება განიხილება ფინანსური აქტივებით ოპერაციად და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებაში აისახება შემოსულობებად/ გადასახდელებად და არ აღიარდება შემოსავლად და ხარჯად. მეკავშირე ერთეულებიდან დივიდენდების მიღების შემთხვევაში, აღირდება ბიუჯეტის შემოსავალი. მიუხედავას სსბასს და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნისა, მუნიციპალიტეტს მეკავშირე ერთეულებში (წილობრივი მონაწილეობით შექმნილ შპს_ში) წილი აღიცხული და აღიარებული არ აქვს. სსბასს დანერგვის გარდამავალ ეტაპზე მუნიციპალიტეტი გეგმავს შიდა სააღრიცხვო პოლტიკის მომზადებას და წილების აღრიცხვის კაპიტალ-მეთოდის დანერგვას. მუნიციპალიტეტს კონტროლირებული ერთეულებში წილები აქცია და კაპიტალის სახით არ გააჩნია. მეკავშირე ერთეულები, წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს -ების სახით არ გააჩნია.

ძირითადი აქტივები - შენიშვნა №6 -თან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

მუნიციპალიტეტი ძირითად აქტივებს აღრიცხავს **სსბასს 17 -ძირითადი საშუალებები,** საფუძველზე და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნების გათვალისწინებით. ძირითადი აქტივი არის გრძელვადიანი მატერიალური აქტივი, რომლებიც გამოიყენება საქონლის ან მომსახურების მიწოდებაში ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის. ძირითადი აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, თუ:

(ა) მოსალოდნელია მასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღება;

(ბ) შესაძლებელია მისი საიმედო შეფასება;

(გ) ღირებულება 500 ლარი და მეტია.

მუნიციპალიტეტი ყველა ძირითად აქტივს აღიარებს იმ თარიღით, როდესაც ისინი იქნა მიღებული, მოპოვებული იქნა მათზე საკუთრების უფლება და ახორციელებს სსბასს ით განსაზღვრულ კონტროლს. ძირითადი აქტივის აღიარება ხდება საწყისი თვითღირებულების მეთოდით. თვითღირებულება მოიცავს ყველა იმ დანახარჯს, რომელთა გაწევა საჭიროა აქტივის მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად. აქტივის შესასყიდ ღირებულებასთან ერთად ის მოიცავს ადგილმდებარეობის მოსამზადებელი სამუშაოების, მიტანისა და მონტაჟის, კვალიფიციური სპეციალისტების მიერ გაწეული საკონსულტაციო მომსახურების ხარჯებს, ასევე აქტივის დემონტაჟისა და ადგილმდებარეობის აღდგენის ხარჯებს. ამ შემთხვევაში ყველა დანახარჯის საკასო ოპერაციები ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გაიწევა ძირითადი აქტივების ზრდის მუხლით. დანახარჯები (ტრანსპორტირების და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისთვის საჭირო სხვა დანახარჯები), რომლის ღირებულების საიმედოდ შეფასება არ არის შესაძლებელი, აღიარდება, სამეურნეო ოპერაციის ეკონომიკური შინაარსის მიხედვით საბიუჯეტო კლასიფიკაციით ან/და ანგარიშთა გეგმით განსაზღვრულ, ხარჯის შესაბამის კატეგორიაში. მუნიციპალიტეტი სარგებლობს ინსტრუქციით განსაზღვრული გამონაკლისებით და ძირითადი აქტივების აღრიცხვის გადაფასების მეთოდს არ იყენებს. უსასყიდლოდ ან ნომინალურ ფასად მიღებული ძირითადი აქტივების სამართლიანი ღირებულებით შეფასება მისი აღიარებისას, არ მიიჩნევა გადაფასებად.

ძირითადი აქტივის საბიუჯეტო ორგანიზაციისგან არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად მიღების შემთხვევაში, მოცემული აქტივის აღიარება, სახელმწიფო მმართველობის სექტორის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პრინციპების გათვალისწინებით, ხდება პირვანდელი (თავდაპირველი) ღირებულებით, ხოლო მუნიციპალიტეტის მიერ კერძო სექტორისგან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, ასევე უცხო ქვეყნის მთავრობებიდან არაგაცვლითი ოპერაციებით მიღებული ძირითადი აქტივების შეფასება ხდება მიღების თარიღისთვის არსებული სამართლიანი ღირებულების თანხით. სამართლიანი ღირებულების დადგენა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ექსპერტული შეფასებით. იმ შემთხვევაში, როცა მუნიციპალიტეტის მიერ ვერ ხდება ექსპერტულ შეფასებაზე მომსახურების შესყიდვა,

შესაბამისი ფინანსური რესურსების არ არსებობის გამო ან ხარჯი-სარგებლიანობის პრინციპით მომსახურების შესყიდვის არაეფექტურობის გამო, ძირითადი აქტივების შეფასება ხდება მიღების დოკუმენტით განსაზღვრული თვითღირებულებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რის შესახებ ინფორმაცია გამჟღავნდება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. მუნიციპალიტეტი ძირითად აქტივებს, ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის გამჟღავნების მიზნით, აჯგუფებს არაფინანსური აქტივების და მათზე ოპერაციის საბიუჯეტო კლასიფიკაციის მეხუთე თანრიგის მიხედვით, ხოლო ცვეთის დარიცხვის მიზნით აჯგუფებს ინსტრუქციით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. გაუმჯობესებაზე გაწეული დანახარჯებით იზრდება ძირითადი აქტივის ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ იგი ზრდის აქტივის გამოყენების ვადას ან ზრდის მის მომსახურების პოტენციალს და ხარისხს. ნებისმიერი სხვა დანახარჯი აღიარდება, როგორც ხარჯი ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში. ძირთადი აქტივების მიმდინარე რემონტის და არსებითი გაუმჯობესების დანახარჯების შეფასების კრიტერიუმი, გარდა სსბასს, საბიუჯეტო კლასიფიკაციის და სფსს 2014 განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმებისა, დამატებით არ არის განსაზღვრული. სამეურნეო ოპერაციების დაგეგმვის დროს, ხდება აღნიშნული კრიტერიუმებით შეფასება, მიიღება თუ არა დამატებითი ეკონომიკური სარგებელი თუ მომსახურების პოტენციალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი აქტივი აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. 2021 წლის 1 იანვრამდე ნულოვანი ღირებულების მქონე ექსპლუატაციაში მყოფი აქტივი, რომელიც აღირიცხულია საცნობარო ანგარიშებზე, ასევე საკუთრებაში არსებულ იმ აქტივებთან დაკავშირებით, რომელთა ღირებულება არ არის განსაზღვრული და აღიარებული, ღირებულების განსაზღვრის შესახებ ყოვლისმომცველი ინფორმაციის მოპოვებისა და სტანდარტის დებულებებთან სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად იყენებს გარდამავალი დებულებით განსაზღვრულ გამონაკლისს და მუნიციპალიტეტი ყველა ძირითადი აქტივების სრულად აღიარებას უზრუნველყოფს გარდამავალი პერიოდის დასრულებამდე.

თუ ძირითადი აქტივის შემადგენელი სათადარიგო ნაწილები და დამხმარე მოწყობილობები, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში საჭიროებენ რეგულარულ შეცვლას, რომელთა იდენტიფიცირება - აკმაყოფილებენ თუ არა აქტივების კრიტერიუმებს, არის შესაძლებელი და შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ძირითადი აქტივების რომელიმე კონკრეტულ ერთეულთან ერთად, მუნიციპალიტეტის მიერ აღიარდება ძირითად აქტივებად. ამ შემთხვევაში ძირითადი აქტივების თავდაპირველი შეძენის ან მიღების დროს გაწეულ დანახარჯებს, აგრეთვე ემატება შემდგომში ამ ნაწილების და მოწყობილობების შეცვლისთვის დამატებით გაწეული დანახარჯები, კორექტირებული ამ ნაწილების და მოწყობილობების საბალანსო ღირებულებით. სააღრიცხვო პოლიტიკის ეს ცვლილება მუნიციპალიტეტის მიერ გამოიყენება პერსპექტულად. ძირითადი აქტივები, რომელთა მიღება უშუალოდ არ უკავშირდება ორგანიზაციის მიერ ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღებას, აღიარდება ძირითად აქტივად, თუ მათი დახმარებით მიიღება სარგებელი სხვა ძირითადი აქტივებიდან, რაც შეუძლებელია ამ (დამხმარე) აქტივების

არსებობის გარეშე. დამხმარე აქტივების აღრიცხვა წარმოებს საბიუჯეტო კლასიფიკაციით დადგენილი წესების და შეფასების - არის თუ არა ძირითადი აქტივის განუყოფელი ნაწილი, შესაბამისად. განუყოფელი ნაწილი აღიარდება არსებითი გაუმჯობესებად და აისახება აქტივის მიღების ოპერაციად. არის თუ არა ძირითადი აქტივის განუყოფელი ნაწილი, შეფასებას მუნიციპალიტეტი ახდენს შემდეგი კრიტერიუმებით:

(ა.) არის თუ არა შესაძლებელი დამხმარე აქტივის დემონტაჟი მისი ან/და ძირითადი აქტივის დაუზიანებლად;

(ბ.) დამხმარე აქტივის დემონტაჟის და მისი სხვა აქტივზე მონტაჟის დანახარჯები არსებითია და არაეფექტურია დამხმარე აქტივის სამართლიანი ღირებულების გათვალისწინებით;

(გ.) დამხმარე აქტივის დემონტაჟის შემთხვევაში არსებითად მცირდება (ან შეუძლებელია) ძირითადი აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის შემოდინება.

მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი მიზნებისთვის შექმნილი ძირითადი აქტივების (საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა) თვითღირებულება, ისე განისაზღვრება როგორც შეძენის შემთხვევაში.

მუნიციპალიტეტი ძირითად აქტივებზე ცვეთის დარიცხვას აწარმოებს წრფივი მეთოდის გამოყენებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის №289 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მიხედვით. ექსპლოატაციაში მყოფ ცვეთად აქტივებზე მუნიციპალიტეტის მიერ მომსახურების ვადები განსაზღვრულია 2021 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული ცვეთის ნორმების შესაბამისად და 2021 წლის 1 იანვრისთვის საბალანსო ღირებულება, აღრიცხვა-ანგარიშგების მიზნებითვის სსბასს 33—დარიცხვის მეთოდის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს) პირველად გამოყენება, თანახმად, ის მიჩნეულია დასაშვებ საწყის ღირებულებად. ძირითადი აქტივების ნარჩენი ღირებულების დადგენა არ ხდება, როგორც უმნიშვნელო და არაარსებითი ღირებულება ცვეთადი თანხის გაანგარიშებაში - საჯარო სექტორის ძირითადი მახასიათებელია ძირითადი აქტივების შესყიდვა მისი მომსახურების პოტენციალის სრულად მოხმარების მიზნით. სრულად გაცვეთილი ცვეთადი აქტივის საჯარო სექტორიდან მიღების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი მოცემული აქტივს ასახავს შესაბამის საცნობარო ანგარიშზე, პირვანდელი (თავდაპირველი) ღირებულებით. ძირითად აქტივს ცვეთა მას შემდეგ აღარ ერიცხება, როდესაც ხდება აღიარების შეწყვეტა. იმ შემთხვევაში, როცა ძირითადი აქტივი მუნიციპალიტეტს ვეღარ აძლევს მომსახურების პოტენციალს ან ეკონომიკურ სარგებელს, აქტივი გაუფასურებულია. საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის კუთვნილი აქტივების გაუფასურება არ მომხდარა. ცვეთადი ძირითადი აქტივის გასვლის შემთხვევაში აღიარება წყდება და საბალანსო ღირებულებით აღიარდება ხარჯად ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების შესაბამისად.

იმ ძირითადი აქტივების, რომელთა შესყიდვა ხდება ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში და უსასყიდლოდ განაწილდება კონტროლირებულ ერთეულებზე, ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის კაპიტალური გრანტების ხარჯებში აღიარდება საბალანსო ღირებულებით.

ძირითადი აქტივების ჩამოწერას მუნიციპალიტეტი ახდენს კომისიური წესით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გასაყიდი (პრივატიზაცია) ძირითადი აქტივი, რომელიც, თვითღირებულებაზე ინფორმაციის არარსებობის გამო, არ არის აღიარებული, აუქციონის მიზნებისთვის დადგენილი ღირებულებით აღიარდება არაკლასიფიცირებული შემოსავლის სახით გასაყიდად გამიზნული აქტივების კატეგორიაში. რეალიზაციიდან მიღებული თანხების აღიარების საფუძველია პრივატიზაციიდან მიღებული თანხების ბიუჯეტის შემოსულობებში აღრიცხვის წესები და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით და საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული პირობები - ძირითადი აქტივების რეალიზაციის შედეგად დარიცხვის მეთოდით აღიარებული შემოსავლები, ბიუჯეტში მიიმართება შემოსულობების სახაზინო ანგარიშზე და აღიარდება როგორც შემოსულობები არაფინანსური აქტივების კლებით. საბალანსო ღირებულება აისახება რეალიზაციის ხარჯებში - გრძელვადიანი აქტივების გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯის სახით. გასაყიდად გამიზნულ ძირითად აქტივებს ანგარიშგების თარიღისთვის ცვეთა არ ერიცხება.

მუნიციპალიტეტი არ აღიარებს მემკვიდროებით აქტივებს.

ძირითადი აქტივების ინვენტარიზაციას მუნიციპალიტეტი ატარებს წელიწადში ერთხელ (გარდა უძრავი ქონებისა, რომელიც ტარდება სამ წელიწადში ერთხელ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №364 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციით.

მუნიციპალიტეტის მიერ არ ხდება ძირითადი აქტივების რეკლასიფიცირება საინვესტიციო ქონებად ან/და შეღავათიანი მომსახურების აქტივებად შიდა სააღრიცხვო პოლიტიკაში **სსბასს 16 - საინვესტიციო ქონება,** და **სსბასს 32 - შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებები: უფლების გადამცემი** მოთხოვნების შესაბამისად აღრიცხვის წესების და პირობების განსაზღვრამდე, რომლის შესაბამისი ცვლილებები განხორციელდება გარდამავალი პერიოდის დასრულებამდე, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების და კანონმდებლობაში ცვლილებების საჭიროების შეფასების შედეგების გათვალისწინებით.

არამატერიალური აქტივები -შენიშვნა 8-თან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

მუნიციპალიტეტი არამატერიალურ აქტივებს აღიარებს **სსბასს 31- არამატერიალური აქტივები,** საფუძველზე, რომლის თანახმადაც არამატერიალური აქტივი არის იდენტიფიცირებადი არამონეტარული აქტივი ფიზიკური ფორმის გარეშე. არამატერიალური აქტივი შეიძლება იყოს განთავსებული ფიზიკურ საგანში. როდესაც აქტივი მოიცავს მატერიალურის და არამატერიალურის ელემენტებს, იმის განსაზღვრისას, **სსბასს 17 - ძირითადი საშუალებების** - მიხედვით იქნეს განხილული თუ **სსბასს 31 - არამატერიალური აქტივები,** შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ადგენს თუ რომელი ელემენტია უფრო მნიშვნელოვანი და იმის მიხედვით აღიარებს არამატერიალურ აქტივად ან ძირითად აქტივად. არამატერიალერ აქტივად აღიარდება აქტივი თუ აქტივი იდენტიფიცირებადია, კონტროლირდება მუნიციპალიტეტის მიერ და შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების ან სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება. იდენტიფიცირებადია აქტივი , თუ იგი:

(ა.)განცალკევებადია, ე. ი შესაძლებელია მისი გამოყოფა ერთეულიდან და გაყიდვა, გადაცემა, ლიცენზირება, გაქირავება ან გაცვლა, ცალკე ან დაკავშირებულ ხელშეკრულებასთან, იდენტიფიცირებად აქტივთან ან ვალდებულებასთან ერთად, იმის მიუხედავად, აქვს თუ არა განზრახული ერთეულს ამის გაკეთება; ან

(ბ.) წარმოიქმნება დაკავშირებული სახელშეკრულებო ან სხვა იურიდიული უფლებებით მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს უფლებები გადაცემადი ან გამოყოფადი ერთეულისგან ან სხვა უფლებებისგან და ვალდებულებებისგან.

სსბასს თანახმად, ერთეული აკონტროლებს აქტივს, თუ მას გააჩნია აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღების უფლება და შეუძლია ამ სარგებელზე ან მომსახურების პოტენციალზე სხვების მიერ წვდომა შეზღუდოს. საწყისი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივი უნდა აისახოს ნებისმიერი აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის ოდენობით შემცირებული თვითღირებულებით.

მუნიციპალიტეტის მიერ ანგარიშგების თარიღისთვის არამატერიალური აქტივი კომპიუტერული პროგრამების სახით აღიარებულია ადრე მოქმედი მეთოდოლოგიით, რომლის საფუძველსაც წარმოადგენდა საბიუჯეტო კლასიფიკაცია და სფს -2014; შეფასებულია თვითღირებულებით და განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე აქტივად. მოქმედ კანონმდებლობის შესაბამისად ერიცხება ამორტიზაცია წრფივი მეთოდით ფინანსთა მინისტრის №289 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მიხედვით და ამორტიზაციის თანხა გროვდება ამორტიზაციის დამაგროვებელ ანგარიშზე, ამავდროულად საანგარიშო პერიოდის ამორტიზაციის თანხა აღიარდება ხარჯად. მომსახურების ვადა განსაზღვრულია 2021 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული ამორტიზაციის ნორმების შესაბამისად და 2021 წლის 1 იანვრისთვის საბალანსო ღირებულება, აღრიცხვა-ანგარიშგების მიზნებითვის მიჩნეულია საწყის ღირებულებად. ანგარიშგების თარიღისთვის არამატერიალური აქტივის გაუფასურების ნიშნები არ გამოკვეთილა, საანგარიშო პერიოდში არსებით გაუმჯობესებაზე დანარხარჯები არ გაწეულა, რა დროსაც იზრდება აქტივის თვითღირებულება.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება:

(ა.) მისი გასვლისას (არაგაცვლითი ოპერაციით გასვლის ჩათვლით); ან

(ბ.) როდესაც არავითარი მომავალი ეკონომიკური სარგებელი ან მომსახურების პოტენციალი არ არის მოსალოდნელი აქტივის გამოყენებისა და შემდგომი გასვლის შედეგად.

სხვა არაფინანსური გრძელვადიანი აქტივები-შენიშვნა 11-თან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

სხვა არაფინანსური გრძელვადიანი აქტივების კატეგორია აერთიანებს ფასეულობებს (ძვირფას ქვებს და ლითონებს, ხელოვნების ნიმუშებს და ა.შ), მატერიალურ არაწარმოებულ აქტივებს, გარდა მიწისა (მინერალურ და ენერგო რესურსებს, არაკულტივირებულ ბიოლოგიურ აქტივებს, წყლის რესურსებს, რადიოსიხშირულ სპექტრს და სხვ.), მემკვიდრეობით აქტივებს (კულტურულ, ისტორიულ, ეკოლოგიურ აქტივებს), დაუმთავრებელ და გასაყიდად გამიზნულ/გადასაცემ აქტივებს და სხვ. არაფინანსური გრძელვადიანი აქტივების სახით აღიარებულია საოპერაციო იჯარით მიღებული აქტივების არსებით გაუმჯობესებას, რომლის სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება **სსბასს 17- ძირითადი აქტივების,** მოთხოვნებს. საოპერაციო იჯარით მიღებული აქტივზე კაპიტალური დანახარჯები საბიუჯეტო კლასიფიკაციით გაწეულია ძირითადი აქტივების ზრდის (შემენის) მუხლიდან და ანგარიშთა გეგმის მიხედვით აღიარებულია დაუმთავრებელი აქტივების ჯგუფში. ცვეთის დარიცხვა წარმოებს მოქმედი კანონმდებლობით, სასარგებლო მომსახურების ვადად განსაზღვრულია საიჯარო შეთანხმებით (ხელშეკრულებით) დადგენილი იჯარის ვადა და გამოიყენება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდი. **სსბასს 13 -იჯარა,** თანახმად იჯარით აღებული ქონება აღრიცხულია საოპერაციო იჯარად, ვინაიდან არ არის დაკმაყოფილებული ფინანსური იჯარის კრიტერიუმები, რა დროსაც იჯარით მიღებული აქტივი აღიარდება საბალანსო მუხლად და ამავდროულად აღიარდება ვალდებულება ფინანსური იჯარით. საოპერაციო იჯარაზე შექმნილია საცნობარო ანგარიში სადაც ასახულია საკუთრების უფლების გარეშე გადმოცემული აღნიშნული აქტივი.

მუნიციპალიტეტის მიერ სხვა არაფინანსური გრძელვადიანი აქტივების სახით აღირიცხება დაუმთავრებელი აქტივი, რომლის აღრიცხვის წესები და პირობები განსაზღვრულია **სსბასს 17 -ძირითადი აქტივების,** მოთხოვნების საფუძველზე. დაუმთავრებელ აქტივებს მოქმედი კანონმდებლობით და სსბასს შესაბამისად, ცვეთა არ ერიცხება. დასრულების შემდეგ კონვერსიით აღიარდება ძირითად აქტივად. საანგარიშო პერიოდში დაუმთავრებელ აქტივზე დანახარჯები არ გაწეულა და საბალანსო ღირებულება უცვლელია. ანგარიშგების თირიღისთვის გაუფასურების ნიშნები არ გამოკვეთილა . დაუმთავრებელ აქტივებზე შესყიდვის დანახარჯები გაიწევა ძირითადი აქტივების შემენის მუხლიდან და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებაში აისახება,

როგორც არაფინანსური აქტივების ზრდა. მუნიციპალიტეტის მიერ დაუმთავრებელი აქტივების ღირებულების შეფასება ხდება გაწეული დანახარჯების ღირებულებით, რომელიც ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გაიწევა წინასწარი გადახდებით (ავანსად) თუ ეს გათვალისწინებულია შესყიდვის ხელშეკრულების პირობებით. დაუმთავრებელი აქტივების აღიარება საფუძველია მუნიციპალიტეტის მიერ ვალდებულების აღიარების იმ შემთხვევაში, როცა შესყიდვის ხელშეკრულება ითვალისწინებს ეტაპობრივ გადახდებს შესულებული სამუშაოების მოცულობის მიხედვით და აქტივის მოწოდების შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად, გადახდები ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან წარმოება სტანდარტულად. საანგარიშო პერიოდში დაუმთავრებელი აქტივებიდან ძირითადი აქტივების კატეგორიაში გადატანილია 3763991 .09 ათ. ლარის ღირებულების აქტივები, რომელიც ასახულია შენიშვნაში როგორც სხვა გასვლები, ხოლო ძირითადი აქტივების მიღებაში ასახულია, როგორც სხვა მიღებები.

სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების კატეგორია მოიცავს გასაყიდად გამიზნულ არაფინანსურ აქტივებს. გასაყიდად გამიზნული აქტივების სააღრიცხვო პოლიტიკა გამჟღავნებულია მე-6 შენიშვნაში. საანგარიშო პერიოდში არაფინანსური აქტივები აუქციონის გზით (აუქციონით) მუნიციპალიტეტს არ გაუყიდია.

მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები -შენიშვნა 12--თან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

მოკლევადიანი ნასესხები თანხების სახით ასახულია მოკლევადიანი სესხები საბიუჯეტო სახსრებით, ეროვნული ვალუტის მიხედვით. სასესხო ვალდებულებად აღიარებულია არაფინანსური აქტივების სესხის სახით მიღების შედეგად წარმოქნილი ფინანსური ვალდებულების მიმდინარე გადასახდელები, რომლის დაფარვის ვალდებულება მუნიციპალიტეტს ეკისრება მომდევნო საანგარიშგებო საბიუჯეტო წელს. სესხის მოცულობა განსაზღვრულია მიღებული არაფინანსური აქტივების თვითღირებულების შესაბამისად. გრძელვადიან ვალდებულებებად განიხილება ყველა ის ვალდებულება, რაც არ წარმოადგენს მოკლევადიან ვალდებულებას, და წარმოადგენს აღნიშნული სასესხო ვალდებულების ნაწილს, რომლის დაფარვაც გათვალისწინებულია შეთანხმების მიხედვით მომდევნო საბიუჯეტო წლის შემდგომ პერიოდებში. ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული გრძელვადიანი ვალდებულებების კატეგორია აერთიანებს ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით მიღებულ აქტივებთან დაკავშირებით წარმოქმნილ გრძელვადიან ფინანსურ ვალდებულებებს. ფინანსური იჯარით მიღებული აქტივების აღრიცხვა და ანგარიშგებაში ასახვა ხორციელდება **სსბასს 13-ის - „იჯარა“-** შესაბამისად. ფინანსური იჯარით მიღებული არაფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და აღირიცხება, როგორც ძირითადი აქტივები, არამატერიალური აქტივები და საინვესტიციო ქონება. ფინანსური იჯარით მიღებული აქტივები აღიარდება საკუთარი მიზნებისთვის შეძენილი აქტივების მსგავსად. ფინანსური იჯარით მიღებული აქტივის ცვეთის/ამორტიზაციის განსაზღვრისათვის გამოიყენება საქართველოს ფინანსთა

მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის 289 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ. ინსტრუქციის თანახმად , ფინანსური იჯარით მიღებული აქტივის ცვეთის თანხა სისტემატურად ნაწილდება იმ პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც ნავარაუდევია აღნიშნული აქტივის გამოყენება, მოიჯარის მიერ საკუთარი ცვეთადი/ამორტიზირებადი აქტივების მიმართ გამოყენებული ცვეთის/ამორტიზაციის პოლიტიკის შესაბამისად. თუ არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ მოიჯარე მიიღებს საკუთრების უფლებას ფინანსური იჯარის ვადის გასვლის შემდეგ, ფინანსური იჯარით აღებული აქტივის სავარაუდო გამოყენების ვადად განისაზღვრება აღნიშნული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფინანსური იჯარით აღებულ აქტივს ცვეთა/ამორტიზაცია დაერიცხება იჯარის ვადასა და მის სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესი დროის მონაკვეთის განმავლობაში .ანგარიშგების თარიღისთვის საკუთრების უფლების გარეშე გადმოცემული აქტივები მუნიციპალიტეტს ფინანსურ იჯარად აღიარებული არ აქვს და შესაბამისად ფინანსური ვალდებულებები არ ერიცხება. შიდა სააღრიცხვო პოლტიკით არ არის განსაზღვრული მიღებული აქტივების ფინანსური იჯარით აღრიცხვის წესები და პირობები, რომლის შემუშავებას კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტი გეგმავს გარდამავალი პერიოდის დასრულებამდე. შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულებებით გრძელვადიანი ვალდებულებები, რომელიც მოიცავს შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებების ფარგლებში მიღებულ აქტივებთან დაკავშირებით წარმოქმნილ გრძელვადიან ფინანსურ ვალდებულებებს, მუნიციპალიტეტს არ ერიცხება.

კრედიტორული დავალიანებები, ანარიცხები და სხვა ვალდებულებები - შენიშვნა 13 -თან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

ფინანსური ვალდებულებების და კრედიტორული დავალიანებების კლასიფიცირებისას გაითვალისწინება **სსბასს 1-ფინანსური ანგარიშგების წარდგენა,** მოთხოვნები მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიცირების თაობაზე და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნები. კრედიტორული დავალიანებები, ანარიცხები და სხვა ვალდებულებები აღირიცხება **სსბასს 19 – ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები,** შესაბამისად და საბიუჯეტო კლასიფიკაციის, ანგარიშთა გეგმის და სსბასს გამოყენების წესის შესახებ ინსტრუქციების მოთხოვნების გათვალისწინებით. ფინანსურ ვალდებულებას მუნიციპალიტეტი აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. ვალდებულება ანულირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაიფარა, გაუქმდა ან ხანდაზმულია.

მოკლევადიანი საგადასახადო კრედიტორული დავალიანებები მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიან კრედიტორულ დავალიანებებს გადასახადების სახეების მიხედვით. თანამშრომლებთან დაკავშირებული მოკლევადიანი გადასახდელები აერთიანებს თანამშრომლების მიმართ სხვადასხვა მოკლევადიან კრედიტორულ

დავალიანებებს, მათ შორის, შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივლინებებთან დაკავშირებითდა სხვ. საქონლისა და მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებით მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები მოიცავს ისეთ მოკლევადიან კრედიტორულ დავალიანებებს, რომლებიც უკავშირდება საქონლისა და მომსახურების მოწოდებას. გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მოწოდებით წარმოქმნილი მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები მოიცავს სხვადასხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივის (მათ შორის, ძირითადი აქტივის, არამატერიალური აქტივის და ა.შ) მოწოდებასთან დაკავშირებულ მოკლევადიან კრედიტორულ დავალიანებებს. სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები აერთიანებს ისეთ მოკლევადიან კრედიტორულ დავალიანებებს, რომელთა ასახვა არაა გათვალისწინებული მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების სხვა ანგარიშებზე. გადასახდელი პროცენტი აერთიანებს ისეთ მოკლევადიან გადასახდელ პროცენტებს, რაც უკავშირდება ნასესხებ სახსრებს, ფინანსური იჯარით აღებულ აქტივებს.

სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები და არაფულადი ვალდებულებები აღნიშნული კატეგორია აერთიანებს საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხულ გრძელვადიან კრედიტორულ დავალიანებებს, არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხულ გრძელვადიან კრედიტორულ დავალიანებებს, გრძელვადიან ფულად და არაფულად ვალდებულებებს არაგაცვლით ოპერაციებთან დაკავშირებით, ავანსად მიღებულ გრძელვადიან შემოსავლებს და სხვა დანარჩენ გრძელვადიან კრედიტორულ დავალიანებებს და არაფულად ვალდებულებებს.

კრედიტორული დავალიანების აღიარების კრიტერიუმად სსბასს - ით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან ერთად, მუნიციპალიტეტი ითვალისწინებს „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მოთხოვნას - ფინანსური ვალდებულების აღიარება ასიგნებების ფარგლებში, გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა. მუნიციპალიტეტი იყენებს ინსტრუქციით დადგენილ გამონაკლისებს - შესაბამისი ბიუჯეტის ასიგნებების არარსებობის შემთხვევაში, საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული კომუნალური მომსახურების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სხვა უწყვეტი მომსახურების შესყიდვისას, დასაშვებია ოპერაციების აღრიცხვა პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების მიღების/შექმნის თარიღით და მიკუთვნება იმ პერიოდის ანგარიშგებაზე, რომელ პერიოდშიც მოხდა მათი მიღება/შექმნა. კრედიტორული დავალიანებების აღიარება საბიუჯეტო წლის ფარგლებს გარეთ, საბიუჯეტო კოდექსის თანახმად (როგორც მრავალწლიანი ხელშეკრულების), ასევე სხვა გრძელვადიანი ვალდებულებების შემთხვევაში, არ ითვალისწინებს მიმდინარე წლის ასიგნებების არსებობას. დავალიანების დაფარვა მომდევნო საბიუჯეტო წელს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებაში, სახაზინო მომსახურების პრინციპების შესაბამისად, აისახება მიმდინარე ხარჯებად და გადახდის საფუძვლად გამოიყენება წინა წლის სამეურნეო ოპერაციის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი. არაფინანსური აქტივების მოწოდებით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები საბიუჯეტო წლის ფარგლებს გარეთ და არაფინანსური აქტივების მოწოდებით წარმოქმნილი გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებების სახით, აღირიცხება ინფრასტრუქტურული ძირითადი აქტივების მომავალში გადახდის

პირობით შესყიდვის დროს (აქტივის სრული თვითღირებულების აღიარებით) კანონმდებლობით ან/და ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული „საგარანტიო თანხები“ , რომელიც მომწოდებელს უნაზღაურდება აქტივის მიღების წლის მომდევნო საანგარიშო წლებში იმ მოცულობით, როგორც არის დადგენილი შესყიდვის პირობებით.

წინა წლების ფინანსური ვალდებულებების ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან დაფარვის შემთხვევაში, გადახდა ხდება საბიუჯეტო კლასიფიკაციის იმავე მუხლებიდან, რომელიც შეესაბამება სამეურნეო ოპერაციის ეკონომიკურ შინაარს, გარდა იძულების წესით ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის შემთხვევისა, როცა საკასო ხარჯის ასახვა ხდება მიმდინარე ტრანსფერების, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული, საბიუჯეტო კლასიფიკაციის კატეგორიაში.

ვალდებულებები დეპოზიტებით აისახება ორგანიზაციის სახაზინო ანგარიშზე ან/და კომერციულ ბანკის ანგარიშზე დროებით განთავსებული თანხები, რომელიც საბოლოოდ მიიმართება ბიუჯეტში ან უბრუნდება გადამხდელს. პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები არ აღიარდება საბალანსო მუხლად.

არამონეტარული (არაფულადი) ოპერაციებით ვალდებულებების დაფარვა აღიარდება აქტივების ან/და მომსახურების მიწოდების შემთხვევაში.

საანგარიშო პერიოდში ყველა მავალდებული მოვლენა იყო კანონმდებლობის ან/და სახელშეკრულებო პირობების საფუძველზე წარმოშობილი, სსბასს მიხედვით აღიარებულია და დაფარულია ანგარიშგების თარიღისთვის ; ხოლო **სსბასს 19 - ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები,** შესაბამისად, კონსტრუქციული მოვალეობით მავალდებულებელი მოვლენა არ წარმოშობილა და კრედიტორული დავალიანება და ანარიცხი მუნიციპალიტეტის მიერ არ აღიარებულა. კონსტრუქციული მოვალეობის შესაფასებლად მუნიციპალიტეტს შიდა სააღრიცხვო პოლიტიკით გათვალისწინებული აქვს სსბასს განსაზღვრული კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც კონსტრუქციულია ის მოვალეობა, რომელიც გამომდინარეობს ერთეულის ქმედებებისაგან, როდესაც:

(ა.) წარსული პრაქტიკის დამკვიდრებული მაგალითით, გამოცემული ნორმების ან საფუძვლიანი განსაკუთრებული მიმდინარე განაცხადით, ერთეულმა მიუთითა სხვა მხარეებს რომ იგი თავის თავზე აიღებდა გარკვეულ პასუხისმგებლობას; და

(ბ.) ამის შედეგად, ერთეულმა შექმნა მართებული მოლოდინი სხვა მხარეების მხრიდან, რომ იგი შეასრულებს აღებულ პასუხისმგებლობას.

იურიდიული ვალდებულება კი ისეთი სახის ვალდებულებაა, რომელიც წარმოიშვება შემდეგ საფუძველზე:

(ა.) ხელშეკრულება (მისი აშკარა ან ნაგულისხმევი პირობებით);

(ბ.) კანონმდებლობა;

(გ.) კანონის სხვა მოქმედება.

ანარიცხების და პირობითი ვალდებულებების შეფასებას (წესები და პირობები გარემოებების დასადგენად, რომლებშიც უნდა მოხდეს ანარიცხების აღიარება, მათი შეფასება და მათ შესახებ ინფორმაციის საცნობარო ანგარიშებზე ასახვა) , მუნიციპალიტეტის ახდენს **სსბასს 19 - ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები,** საფუძველზე.

ანარიცხი არის ვადით ან თანხით განუსაზღვრელი ვალდებულება. ანარიცხი აღიარდება მხოლოდ მაშინ, თუ შესრულებულია ქვემოთ ჩამოთვლილი სამივე პირობა:

• მუნიციპალიტეტს გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენის შედეგად;

• სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მატარებელი რესურსების გასვლა;

• შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულება არის:

• შესაძლო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და რომლის არსებობაც დადასტურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება ან არ ექნება ერთ ან უფრო მეტ განუსაზღვრელ მომავალ მოვლენას, რომლებიც სამინისტროს სრული კონტროლის ქვეშ არ იმყოფება; ან

• ამჟამინდელი ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს წარსული მოვლენისაგან, მაგრამ არ არის აღიარებული, ვინაიდან:

- ნაკლებად სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო გახდება ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მატარებელი რესურსის გადინება; ან

- ვერ ხერხდება ვალდებულებათა თანხის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხების შეფასება და აღიარება ხდება ანგარიშგების თარიღისთვის. ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, ზუსტდება საანგარიშო პერიოდში შეფასებული პირობითი ვალდებულებები, ანგარიშგების თარიღისთვის არსებული გარემოებების გათვალისწინებით. ანარიცხების შეფასების დროს თუ დადგინდება, რომ მოსალოდნელი აღარ არის ვალდებულების დასაფარად საჭირო ეკონომიკური სარგებელის ან მომსახურების პოტენციალის მატარებელი რესურსების გასვლა, მოხდება ანარიცხების უკუგატარება. პირობითი ვალდებულების ცვლილების შემთხვევაში, როცა შედეგად აღიარდება ვალდებულება, აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელშიც მოხდა აღნიშნული ცვლილება.

ანგარიშგების თარიღისთვის ანარიცხად აღიარებული თანხის დანახარჯების საიმედოდ შეფასებისთვის, მუნიციპალიტეტი იყენებს წინა სამი საანგარიშო პერიოდში მსგავსი ოპერაციებიდან მიღებულ გამოცდილებას თუ დამოუკიდებელი ექსპერტების ანგარიშებით არ არის გამყარებული სანდოობა. შეფასებისას საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების შემდეგ მომხდარი მოვლენებისაგან მიღებულ დამატებით მტკიცებულებაც გაითვალისწინება.

განუსაზღვრელობას, რომელიც თან ახლავს ანარიცხთან დაკავშირებული დანახარჯების თანხას, მჟღავნდება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. მუნიციპალიტეტის სპეციფიკისთვის ფულის დროითი ღირებულება არარსებითია, და არ ხდება ანარიცხების დისკონტირება.

ანარიცხებით ვალდებულების აღიარება ხდება შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნების გარეშე.

ანგარიშგების თარიღისთვის ვალდებულებებთან მიმართებით მუნიციპალიტეტის მიერ ანარიცხების აღიარების საჭიროება არ არის.

პირობითი ვალდებულება არის:

(ა.) შესაძლო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენებისაგან და რომლის არსებობაც დადასტურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება ან არ ექნება ერთ ან უფრო მეტ განუსაზღვრელ მომავალ მოვლენას, რომლებიც ერთეულის სრული კონტროლის ქვეშ არ იმყოფება; ან

(ბ.) ამჟამინდელი ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს წარსული მოვლენებისაგან, მაგრამ არ არის აღიარებული, ვინაიდან:

- ნაკლებად სავარუდოა, რომ ვალდებულებების დასაფარად საჭირო გახდება ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მატერებელი რესურსების გადინება; ან
- ვერ ხერხდება ვალდებულებათა თანხის შეფასება საფუძვლიანად და საიმედოდ.

მოვალეობა, რომლის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, ვალდებულებად არ აღიარდება და აისახება პირობით ვალდებულებად.

სასამართლო და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დაკისრებულ ვალდებულებაზე, რომელზედაც მუნიციპალიტეტს გააჩნია სოლიდარული პასუხისმგებლობა, პირობით ვალდებულებას წარადგენს იმ ნაწილში, რომელიც სხვა მხარის მიერ დაიფარება. მოვალეობის საიმედოდ შეფასებისთვის დადგენილია „მოსალოდნელი შედეგების დიაპაზონი“, რომელიც გამოიყენება ანარიცხების აღიარებისათვის, შემდეგი სახით: ვალდებულების წარმოშობის დაბალი ალბათობა - 50% -მდე; ვალდებულების წარმოშობის საშუალო ალბათობა 50 %-დან 80%-მდე; ვალდებულების წარმოშობის მაღალი ალბათობა -80% ზე მეტი. ვალდებულების წარმოშობის დაბალი ალბათობის შემთხვევაში ინფორმაციას მჟღავნდება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით ბარათში; ვალდებულების წარმოშობის საშუალო ალბათობის შემთხვევაში - ასახავს პირობით ვალდებულებას; ვალდებულების წარმოშობის მაღალი ალბათობის შემთხვევაში - აღიარებს ანარიცხებს (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც შეუძლებელია საიმედოდ შეფასება).

მუნიციპალიტეტი **სსბასს 19** განსაზღვრული წამგებიანი ხელშეკრულებების შემთხვევები არ აქვს და მასთან დაკავშირებული ანარიცხების შექმნის წესები და პირობები არ არის დადგენილი.

შემოსავლები გადასახადებიდან, გრანტებიდან და სხვა, შენიშვნა 14 _თან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

მუნიციპალიტეტი არაგაცვლითი ოპერაციებით, მათ შორის სასაქონლო ფორმით, მიღებული შემოსავლების აღრიცხვას დარიცხვის მეთოდით აწარმოებს **სსბასს 23 – „შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციებიდან“,** საფუძველზე. შემოსავლები აღიარდება, როდესაც სავარაუდოა ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღება და მისი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. შემოსავლად

აღიარება ხდება უპირობო მოთხოვნების წარმოქმნის შემთხვევაში. მუნიციპალიტეტს აქვს შემდეგი სახის შემოსავლები არაგაცვლითი ოპერაციებიდან:

(ა.) გადასახადები

(ბ.) გრანტები

(გ.) ჯარიმები, სანქციები და საურავები

(დ.) ტრანსფერები (ნებაყოფილებითი), რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული

გადასახადები მუნიციპალიტეტის მიერ აღირიცხება საკასო მეთოდით. სტანდარტის მოთხოვნიდან გადახრა ძალაშია, ხაზინის ელექტრონული მთავარი წიგნის შემოსავლის აღრიცხვის ფუნციონალის სრულად ამოქმედებამდე. საგადასახადო კანონმდებლობით არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად წარმოქმნილი აქტივის (ბიუჯეტის ფულადი სახსრების სახით) განსაზღვრების და აღიარების კრიტერიუმები (აღრიცხვის საკასო მეთოდის გამოყენებით), და შედეგად შემოსავლის აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. შეცდომით აღიარებული საგადასახადო შემოსავალი ანულირდება უკუგატარებით. საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, მუნიციპალიტეტი არ იღებს გადასახადების საავანსო შემოსულობებს.

გრანტების სახით მუნიციპალიტეტი იღებს შემოსავლებს მონეტარული (ფულადი) ფორმით და არამონეტარული (არაფულადი) ფორმით. ფულადი ფორმით მიღებული გრანტის სახეებია ბიუჯეტის შემდეგი შემოსავლები:

(ა.) საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიმდინარე დანიშნულების გრანტები;

(ბ.) მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად;

(გ.)სპეციალური ტრანსფერი საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებით;

(დ.) სპეციალური ტრანსფერი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხებით;

(ე.) კაპიტალური ტრანსფერი;

(ვ.) მიმდინარე ტრანსფერი;

(ზ.) გრანტები თვითმმართველი ერთეულის სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ბ)-დან;

(თ.)სხვა არაკლასიფიცირებული გრანტები;

(ი.) სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

გრანტით მიღებული ბიუჯეტის ფულადი სახსრების გამოყენებაზე დაკისრებული შეთანხმებები წარმოდგენილია კანონებსა და სამართლებრივ ნორმებში და თავისი შინაარსით სამართლებრივად ქმედითუნარიანია. გრანტის მიღების შეთანხმება შინაარსით წარმოადგენს „შეზღუდვას“, საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული (ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ტრანსფერების გადაცემის მარეგულირებელი) კანონმდებლობის თანახმად. თუ შემოსავალი მიიღება „შეზღუდვით“ (როცა აქტივის უკან დაბრუნების ვალდებულება არ არის), მუნიციპალიტეტი აღიარებს შემოსავალს. იმ შემთხვევაში, როცა აქტივს თან მოჰყვება

კონკრეტული პირობა („შემოსავალი პირობით“), მუნიციპალიტეტი აღიარებს ვალდებულებას, ხოლო შემოსავალი აღიარდება პირობით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებისას. ანგარიშგების თარიღისთვის მუნიციპალიტეტს ერიცხება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ღონისძიებების დასაფინანსებლად მიღებული გრანტები 2382725 ლარი, რომელიც მიღებულია „პირობით' და ჯერ არ არის გამოყენებული იმ პროექტების მიზნებითვის, რომლის დაფინანსებაც გათვალისწინებულია პირობით. თანხა შენიშვნა№13 ში ასაულია ვალდებულებებში წინასწარმიღებული შემოსავლების სახით.

მუნიციპალიტეტის მიერ ადმინისტრირებული ჯარიმები, სანქციები და საურავების სახით შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით, ხოლო დანარჩენი, როგორც გამონაკლისი, საკასო მეთოდით, ვინაიდან მათი ადმინისტრირება კანონმდებლობით ხდება ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების მიერ და პირველადი აღრიცხვის დოკუმენთთან წვდომა მუნიციპალიტეტს არ გააჩნია, სანამ ხაზინის მთავარ წიგნის ფუნქციონალი ამუშავდება. ჯარიმების დაკისრების თაობაზე მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მუნიციპალიტეტის მიერ ჯარიმის დარიცხვის მეთოდით შემოსავლად აღიარებით მისაღები თანხა შეესაბამება აქტივის კრიტერიუმებს - სავარაუდოა აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონიმიკური სარგებელისა და მომსახურების პოტენციალის შემოდინება ერთეულში, და შესაძლებელია აქტივის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება; კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმებით მუნიციპალიტეტს გააჩნია სამართლებრივად ქმედითი მოთხოვნა, და შესაბამისად დაკმაყოფილებულია შემოსავლად აღიარებაზე სტანდარტის მოთხოვნები. შემოსავალი მიეკუთვნება მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტით (ჯარიმის ქვითრით/ოქმით) განსაზღვრულ საანგარიშგებო პერიოდს.

მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული ტრანსფერები, როგორც არაგაცვლითი ოპერაციით მიღებული ფულადი ფორმით შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. ტრანსფერებით მიღებული შემოსავლების დარიცხვის მეთოდით აღიარება ხდება შემოსავლების უპირობო მოთხოვნის შემთხვევაში, რაც დადასტურებულია შესაბამისი სამსახურის მიერ, ტრანსფერის მიღებაზე არსებული შეთანხმების შინაარსის მიხედვით. მუნიციპალიტეტი არ აღაირებს დაპირებულ ობიექტებს აქტივების ან შემოსავლის სახით. თუ შემდგომში ხდება დაპირებული ობიექტის გადაცემა, იგი აღიარდება როგორც საჩუქარი ან შემოწირულობა. სსბასს 19-ის მოთხოვნათა თანახმად დაპირებები პირობით აქტივებად მჟღავნდება განმარტებით შენიშვნებში. შეთანხმების შინაარსის შესაბამისად, ტრანსფერით მიღებული შემოსავალი აღიარდება იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც დადასტურდება მიღების სამეურნეო ოპერაცია.

სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებული შემოსავალი, დარიცხვის მეთოდით აღიარდება მუნიციპალური სამსახურების მიერ კანონმდებლობის შესაბამისად ზიანის დაკისრების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

სახელშეკრულებო პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოები, აღირიცხება მუნიციპალიტეტის სამსახურების და კონტროლირებული ერთეულების მიერ დადგენილი ფორმით ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში.

არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად მიღებული აქტივის თავდაპირველი შეფასება ხდება მისი მიღების თარიღისთვის არსებული სამართლიანი ღირებულებით, თუ აქტივი კერძო სექტორიდან მიიღება. აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება სასაქონლო ფორმით საჯარო სექტორის ერთეულიდან მიღებული შემოსავლების აღიარების დროს. საანგარიშო პერიოდში მიღებული აქტივების აღიარებაზე ინფორმაციები გამღავნებულია მე-3, მე-6 და მე-8 შენიშვნაში, რაც წარმოადგენს სასაქონლო ფორმით არაგაცვლითი ოპერაციებით მიღებული შემოსავლების სააღრიცხვო პოლიტიკას. არაგაცვლითი ოპერაციით მიღებული მომსახურებების შემთხვევაში მუნიციპალიტეტი შემოსავლებს არ აღიარებს შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, რის შესახებაც ინფორმაციას განმარტებით შენიშვნებში ამჟღავნებს სსბასს მოთხოვნების მიხედვით. საანგარიშო პერიოდში უსასყიდლოდ მომსახურებები მუნიციპალიტეტს არ მიუღია.

შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან შენიშვნა 15 თან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

მუნიციპალიტეტის მიერ გაცვლითი ოპერაციებისა და მოვლენების შედეგად წარმოშობილი შემოსავლის აღრიცხვა დარიცხვის მეთოდით წარმოებს **სსბასს 9 – "შემოსავალი გაცვლითი ოპერაციებიდან",** განსაზღვრული წესის და მოთხოვნების მიხედვით. მუნიციპალიტეტი აღრიცხავს გაცვლითი ოპერაციებისა და მოვლენების შედეგად წარმოშობილ შემდეგი სახის შემოსავლებს:

(ა) მომსახურების გაწევა;

(ბ) საქონლის გაყიდვა;

(გ) სხვა პირთა მიერ მუნიციპალიტეტის კუთვნილი აქტივების გამოყენებით პროცენტების და დივიდენდების მიღება.

გაცვლითი ოპერაციების შედეგად მიღებული შემოსავლის არაგაცვლითი ოპერაციით მიღებული შემოსავლიდან გამიჯვნა მუნიციპალიტეტის მიერ ოპერაციის შინაარსის მიხედვით ხდება, რომლის იდენტიფიცირებისთვის დადგენილი მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში ივსება შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის პირველადი დოკუმენტი, რომელთა დამტკიცების წესები ითვალისწინებს ფორმის დასახელებაში მითითებას, ოპერაცია გაცვლითია თუ არაგაცვლითი.

შემოსავლად აღიარება ხდება სტანდარტის შესაბამისად, უპირობო მოთხოვნების წარმოქმნის შემთხვევაში.

მუნიციპალიტეტის შემოსავალი, კანონმდებლობის საფუძველზე, მოიცავს როგორც ერთეულის მიერ თავისი საქმიანობის მიზნებისთვის მიღებული ან მისაღები მომსახურების პოტენციალის, ასევე ბიუჯეტის შემოსავლების ანგარიშზე მისაღები ან მიღებული ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ასევე, მუნიციპალიტეტის

კონტროლირებული ერთეულების მიერ, ადგილობრივი თვითმმართველობის სახელით ან მესამე პირების სახელით ბიუჯეტის შემოსავლების ანგარიშზე მისაღები ან მიღებული ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას.

მუნიციპალიტეტი ითვალისწინებს სტანდარტის კრიტერიუმების პრაქტიკაში გამოყენების მითითებებს და გაცვლითი ოპერაციით მიღებული შემოსავლის ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკულ გამოცდილებას და ბუღალტრულ აღრიცხვაზე მომუშავეთა უნარ-ჩვევებს. გაცვლითი ოპერაციით მიღებული შემოსავლის სახეების მიხედვით, შემოსავლების სპეციფიკის გათვალისწინებით, დადგენილია შეფასების პირობები - თუ როდის მიიჩნევა სტანდარტით განსაზღვრული კრიტერიუმები დაკმაყოფილებულად და შეიძლება შემოსავლის აღიარება:

(ა) მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების შეფასებისთვის პირობები ითვლება დაკმაყოფილებულად თუ:

ა.ა შემოსავლის ოდენობის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;

ა.ბ. მოსალოდნელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის შემოსვლა ერთეულში;

ა.გ. შესაძლებელია მომსახურების გაწევის ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო თარიღისთვის.

(ბ) საქონლის გაყიდვით მიღებული შემოსავლების შეფასებისთვის პირობები ითვლება დაკმაყოფილებულად თუ:

ბ.ა. ერთეული მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

ბ.ბ. შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა;

ბ.გ. მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან ერთეული მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს ან მომსახურების პოტენციალს.

(გ) სხვა პირთა მიერ ერთეულის კუთვნილი აქტივების გამოყენების შედეგად წარმოშობილი შემოსავლის შეფასებისთვის პირობები დაკმაყოფილებულია თუ:

გ.ა. ხელშეკრულების პირობების მიხედვით საიმედოდ არის შეფასებული მისაღები პროცენტების და მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით მისაღები დივიდენდების მოცულობა;

გ.ბ. მოსალოდნელია შემოსავლებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება.

მომსახურების გაწევის ოპერაცია მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით (როცა მომსახურების საფუძველია ხელშეკრულება) ან/და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებით (როცა მომსახურების საფუძველია კანონმდებლობა). მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავალებია აგრეთვე ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები. ადმინისტრაციული მოსაკრებლები შემოსავლების საბიუჯეტო კლასიფიკაციის თანახმად, წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის კატეგორიას, ხოლო სსბასს თანახმად არის მომსახურებით მიღებული შემოსავლები. მომსახურება გაიწევა კანონმდებლობის შესაბამისად (ხელშეკრულებები არ ფორმდება). თითოეული მხარის უფლებები განსაზღვრულია მოსაკრებლების შესახებ კანონმდებლობით.

ხელშეკრულების საფუძველზე გაწეული მომსახურებით მიღებული შემოსავლების საიმედოდ შეფასების პირობების დასაკმაყოფილებლად, მუნიციპალიტეტს სხვა მხარეებთან შეთანხმებული აქვს შემდეგი საკითხები:

ა. თითოეული მხარის უფლებები, მომსახურების მიწოდებასა და მიღებასთან დაკავშირებით;

ბ. გასაცვლელი ანაზღაურების პირობები;

გ. ანგარიშსწორების წესი და ვადები.

თუ შეუძლებელია მომსახურების გაწევის ოპერაციის შედეგის საიმედოდ შეფასება, შემოსავალი არ აღიარდება.

სხვა პირთა მიერ ერთეულის კუთვნილი აქტივების გამოყენების შედეგად წარმოშობილი შემოსავალია:

დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები;

დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტების სახით მიღებული შემოსავლების აღიარების დროა მხარეთა შეთანხმებით, ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული საანგარიშგებო თვის თარიღი, როცა მუნიციპალიტეტს წარმოეშობა უპირობო მოთხოვნის უფლება. დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტებით მიღებული შემოსავლების სახით კომერციული ბანკის მიერ ჩარიცხული სარგებლის და აღიარებული შემოსავლების მოცულობების შეუსაბამობის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი კომერციულ ბანკთან აფორმებს ურთიერთშედარების აქტს და აქტის შედეგები საანგარიშგებო პერიოდში აღრიცხვაში აისახება სტანდარტების მოთხოვნების მიხედვით: ზუსტდება აღიარებული შემოსავალი ზრდის ან/და კლების მიმართულებით და შესაბამისი თანხით აისახება ბუღალტრულ ოპერაციებში: წარმოიშობა ან დებიტორული ან კრედიტორული დავალიანება და იმავდროულად გასწორდება საკასო ოპერაციებით ან გაითვალისწინება მომავალი თვის ანგარიშწორების დროს, ხელშეკრულების პირობების თანახმად.

მუნიციპალიტეტის მიერ საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავლების დამახასიათებელი სპეციფიკაა, რომ საკუთრებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემა ემთხვევა მყიდველისათვის იურიდიული ან ქონებრივი უფლებების გადაცემას და ამ მომენტში ითვლება სააღრიცხვო პოლიტიკით დადგენილი პირობა შესრულებულად და დასტურდება პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტით. მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გაყიდვის წესები და პირობები აკმაყოფილებს **სსბასს 12 - სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები**, მატერიალური მარაგების განმარტებას (მუხლი 9. (გ) პუნქტი. - ინახება გაყიდვის ან განაწილებისათვის ოპერირების ჩვეულებრივ რეჟიმში) და მუნიციპალიტეტის მიერ, გასაყიდი საქონლის ღირებულების შეფასების ექსპერტული დასკვნა, განიხილება მატერიალური მარაგების ღირებულების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებად, რადგან გაყიდვისათვის სტანდარტით განსაზღვრული პირობა - **„შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისთვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება“** მუნიციპალიტეტის მიერ არ გაითვალისწინება, ვინაიდან დებულების და მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მომსახურების გაწევა და შემოსავლების

მობილიზაცია, წარმოადგენს საოპერაციო საქმიანობას, რომლის განხორციელება ფინანსდება საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში და შემოსავლების სახეების მიხედვით გაწეული დანახარჯების იდენტიფიცირება მისი საიმედო შეფასების მიზნით, არ არის შესაძლებელი. რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აისახება შემოსულობების შესაბამის სახაზინო კოდებზე.

იჯარით მიღებული შემოსავლები, არის შემოსავლები მიღებული სხვა პირთა მიერ მუნიციპალიტეტის კუთვნილი აქტივების გამოყენების შედეგად ან/და მომსახურების რეალიზაციით; მუნიციპალიტეტის მიერ იჯარით მიღებული შემოსავლის სახეებია:

- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებული შემოსავალი;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან, მიღებული შემოსავალი;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მანქანა-დანადგარების და მოწყობილობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებული შემოსავალი.

იჯარით მიღებული შემოსავლების, როგორც გაცვლითი ოპერაციების შედეგად მიღებულის, აღრიცხვის წესებში და პირობებში გათვალისწინებულია **სსბასს 13 -იჯარა.,** წესები, პირობები და მოთხოვნები - იჯარის კლასიფიცირების მიზნებისთვის და ასევე შემოსავლების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნები - შემოსავლების სახეების კლასიფიცირების მიზნებისთვის.

მუნიციპალიტეტის მიერ იჯარით გაცემული ქონება კლასიფიცირებულია საოპერაციო იჯარად. იჯარა კლასიფიცირებულია საოპერაციო იჯარად შინაარსის მიხედვით, მიუხედავად ქონების გადაცემის სხვადასხვა ფორმებისა. არაწარმოებული აქტივის სხვა ერთეულზე სარგებლობაში გადაცემით მიღებული შემოსავალი - რენტა, არის იჯარით შემოსავალი. საბიუჯეტო კლასიფიკაციის თანახმად, რენტა მიიღება მიწის, როგორც სსბასს 17 თანახმად, ძირითადი აქტივის იჯარით ან გაქირავებით; წარმოებული აქტივების იჯარით განსაზღვრული შემოსავლები აღიარდება როგორც საქონლისა და მომსახურების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები - შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) და შემოსავალი მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების იჯარაში ან მართვაში (უზუფუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან. ეს შემოსავლები მიიღება არაწარმოებული აქტივების გამოყენებაზე და წარმოებული აქტივებით მომსახურებაზე ხელშეკრულებების საფუძველზე. ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით შემოსავალი დარიცხვის მეთოდით აღიარდება .

იჯარით მიღებული შემოსავლების აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილებამდე, ბიუჯეტის შემოსავლებში ჩარიცხული იჯარის გადასახდელები, თანხის ჩარიცხვის დამადასტურებელი სახაზინო ამონაწერების საფუძველზე, აღირიცხება ფინანსურ აქტივად და ამავდროულად ვალდებულებად, წინასწარ მიღებული შემოსავლის სახით. როცა მუნიციპალიტეტი შეასრულებს მიღებულ რესურსებთან მიმართებით ვალდებულებად

აღიარებულ მიმდინარე მოვალეობას და დადასტურდება მეიჯარის მიმართ უპირობო მოთხოვნის წარმოშობა, ამცირებს აღიარებული ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და აღიარებს ამ შემცირების ტოლი თანხის შემოსავალს.

საანგარიშო პერიოდში არაფულადი ოპერაციებით (ბარტერული და სხ.) მუნიციპალიტეტის მიერ შემოსავლის მიღების შემთხვევების არ არსებობის გამო, ბარტერული და სხვა ფორმით შემოსავლების აღრიცხვის წესები და პირობები სააღრიცხვო პოლიტიკით არ არის განსაზღვრული

გაცვლითი ოპერაციების შედეგად მიღებული შემოსავლების აღრიცხვისთვის მუნიციპალიტეტის მიერ გამოიყენება ბუღალტრული პირველადი აღრიცხვის როგორც გარე, ასევე შიდა ფორმები.

სტანდარტის პირობების თანახმად, მუნიციპალიტეტის მიერ გაცვლითი ოპერაციით მიღებული ბიუჯეტის შემოსავლის სამართლიანი ღირებულების დადგენა არ ხდება, ვინაიდან ანაზღაურება ხდება ფულადი სახსრებით და შესაბამისად, შემოსავლის თანხაც მიღებული ან მისაღები ფულადი სახსრების ტოლია.

თუ თანხა უკვე ასახულია შემოსავალში, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, მუნიციპალიტეტის მიერ აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდში, როცა მოქმედი კანონმდებლობით დადგინდა შემოსავლის აღიარებით წარმოქმნილი აქტივის არარეალურობა (არარეალური დებიტორული დავალიანება). არარეალური დებიტორული დავალიანების, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილების შედეგის ასახვის წესები განსაზღვრულია **სსბასს 19 - ანარიცხები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულები,** განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად. შეცდომით აღიარებული შემოსავალი ანულირდება უკუგატარებით, შეცდომის აღმოჩენის პერიოდში და მიეკუთვნება იმ საანგარიშო პერიოდს როცა შეცდომა იქნა აღმოჩენილი.

გაცვლითი ოპერაციით მიღებული შემოსავლების კლასიფიცირების კრიტერიუმად გამოყენებულია საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია. შემოსავლის სახეები და შემოსავლის აღრიცხვის სამუშაო ბუღალტრული ანგარიშთა გეგმა შესაბამისობაშია შემოსავლების საბიუჯეტო კლასიფიკაციასთან

დარიცხული ხარჯები, გრანტები და სუბსიდიები_შენიშვნა 17 თან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

მუნიციპალიტეტის მიერ ხარჯები დარიცხვის მეთოდით აღირიცხება. ხარჯები მოიცავს "ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციით" განსაზღვრული ხარჯებს მონეტარული და არამონეტარული ოპერაციების შედეგად, ასევე მოიცავს ისეთ ხარჯებს, როგორებიცაა საეჭვო მოთხოვნების/ღირებულების შემცირების/გაუფასურების ხარჯები, არაფინანსური აქტივების გაყიდვებიდან მიღებული ზარალი.

ხარჯების სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრულია:

- სსბასს დადგენილი წესების და პირობებით;
- საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნებით;
- საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი პირობებით;

- სახაზინო მომსახურების პრინციპებით და მოთხოვნებით;
- მუნიციპალიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნებით;
- სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს GFS 2014 მოთხოვნებით, გაცვლითი და არაგაცვლითი ოპერაციებით ხარჯების აღრიცხვაზე.

მუნიციპალიტეტი ხარჯს აღიარებს სსბასს განსაზღვრული პირობების შესაბამისად:

(ა.) მომსახურების მიღებისას:

ა.ა. მავალდებულებელი მოვლენის წარმოქნისთანავე, რის შედეგადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემცირება;

ა.ბ. მავალდებულებელი მოვლენის წარმოქნისთანავე, რის შედეგადაც მოსალოდნელია მომსახურების პოტენციალის შემცირება, აქტივების გასვლის/მოხმარების შედეგად;

(ბ.) აქტივების გამოყენებით/გასვლით მომსახურების პოტენციალის შემცირებისას;

(გ.) როცა მცირდება წმინდა აქტივები/კაპიტალი აქტივების/ვალდებულებების ფლობით მიღებული ზარალის შედეგად.

გ.ა. აქტივების/ვალდებულებების გადაფასებით მიღებული ზარალით.

მუნიციპალიტეტის შიდა სააღრიცხვო პოლიტიკა არ ითვალისწინებს ხარჯებისა და შემოსავლების ურთიერთგადაფარვას გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისებისა - საანგარიშო პერიოდში ადგილი არ ქონდა შემოსავლების და ხარჯების ისეთ ოპერაციებს და სხვა მოვლენებს, რომელთა ურთიერთგადაფარვა ასახავდა მათ შინაარსს.

ხარჯების კლასიფიკაციის და აღრიცხვა-ანგარიშგებისთვის, სსბასს 1 შესაბამისად ინფორმაციის შესაბამისობის და სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტი იყენებს ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ხარჯების დაჯგუფების მეთოდს. ხარჯების კლასიფიცირება, ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების მიზნებისთვის, პროგრამის ან დანიშნულების მიხედვით თუ რა მიზნითაც იქნა გაწეული ეს ხარჯები, არ ხდება. მუნიციპალიტეტის ხარჯი, ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობის საფუძველზე, მოიცავს როგორც ეკონომიკური სარგებლის და მომსახურების პოტენციალის შემცირებას თავისი საქმიანობის მიზნებისთვის, ასევე თვითმმართველობის ბიუჯეტის ხარჯების დასაფინანსებლად, შემცირებას.

მომსახურების მიღების ოპერაცია ხორციელდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით (როცა მომსახურების საფუძველია ხელშეკრულება) ან/და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებით (როცა მომსახურების საფუძველია კანონმდებლობა). ხელშეკრულების საფუძველზე მომსახურებით ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდებში, რომლებშიც ხდება მომსახურების მიღება. თუ შეუძლებელია მომსახურების მიღების ოპერაციის შედეგის საიმედოდ შეფასება, ხარჯი არ აღიარდება. ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციით განსაზღვრული ხარჯები აღიარდება - მომსახურების მიღებისას, საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მატერიალური მარაგების გამოყენებისას, აქტივების უსასყიდლოდ სხვაზე გადაცემისას, და აქტივების ღირებულების შემცირებისას (ძირითადი კაპიტალის მოხმარება), გაცვლითი და არაგაცვლითი ოპერაციების შედეგად. გაცვლითი

ოპერაციებით ხარჯებია საბიუჯეტო კლასიფიკაციის შრომის ანაზღარურებისა და საქონლისა და მომსახურების ხარჯები; სხვა დანარჩენი მუხლები ძირითადად არაგაცვლით ოპერაციებს წარმოადგენს.

მუნიციპალიტეტის მიერ არაგაცვლითი ოპერაციით, კონტროლირებული ერთეულებისთვის უსასყიდლო მომსახურების მიწოდების ხარჯები არ აღიარდება ოპერაციის ეკონომიკური შინაარსის მიხედვით - გრანტის ხარჯად, თანახმად ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციით და სსბასს 23-ით განსაზღვრული გამონაკლისებისა.

ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებების (თუ მავალდებულებელი მოვლენის დადგომა ხარჯვითი ოპერაციის შედეგი არ არის; საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული შეზღუდვები საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ შემოსავლების გამოყენებასთან დაკავშირებით) დასაფარად და მესამე პირების სახელით ბიუჯეტის შემოსავლების ანგარიშზე მისაღები ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხის გადარიცხვა არ განიხილება ხარჯის ოპერაციად.

მუნიციპალიტეტი ითვალისწინებს სსბასს კრიტერიუმების პრაქტიკაში გამოყენების მითითებებს და გაცვლითი და არა გაცვლითი ოპერაციით ხარჯების ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკულ გამოცდილებას და ბუღალტრულ აღრიცხვაზე მომუშავეთა უნარ - ჩვევებს.

მუნიციპალიტეტის მიერ ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, ხარჯების დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის შიდა წესები და პირობები უზრუნველყოფილია ხარჯის თითოეული სამეურნეო ოპერაციის მოხდენის დამადასტურებელი პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის გარე და შიდა დოკუმენტებით დადასტურებით. შენიშვნაში წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდში დარიცხული ხარჯების მოცულობაზე ინფორმაცია საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით და ასევე წინა საანგარიშო პერიოდის შესადარი ინფორმაცია.

საბიუჯეტო კლასიფიკაციით მუხლით განსაზღვრული **შრომის ანაზღაურება** - არის მომსახურების ხარჯი გაცვლითი ოპერაციის შედეგად. მომსახურების მიღება ხდება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებით. ხარჯი აღიარდება მავალდებულებელი მოვლენის დადგომისას. მავალდებულებელი მოვლენა არის კანონმდებლობით განსაზღვრული იურიდიული ვალდებულება. მავალდებულებელი მოვლენის დადგომა დასტურდება დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ღირებულების ასანაზღაურებლად ფულადი ფორმით, კომპენსაციების გაცემის ვალდებულების წარმოქმნით. ხარჯის აღიარება ხდება ვალდებულების ვადის დადგომის დროს. სასაქონლო ფორმით კომპენსაციების გაცემის შემთხვევებს ადგილი არ აქვს და აღრიცხვის წესები არ არის განსაზღვრული.

საქონელი და მომსახურება საბიუჯეტო კლასიფიკაციის თანახმად, ამ ხარჯების ჯგუფი მოიცავს საქონლისა და მომსახურების შესყიდვას, რომელიც გამოიყენება საბაზრო და არასაბაზრო ფასად საქონლისა და მომსახურების გასაწევად (მათ შორის,

საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის უსასყიდლოდ მიწოდების მიზნით). ხარჯები იყოფა ქვეჯგუფებად:

(ა.)მომსახურების მიღება;

(ბ.) საქონლის გამოყენება, გარდა იმ საქონლისა, რომელიც ნაწილდება უცვლელი სახით ბენეფიციარებზე. საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული კომუნალური ხარჯების და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული უწყვეტი მომსახურების ხარჯის აღიარების დროს მუნიციპალიტეტი იყენებს დარიცხვის მეთოდიდან გადახრაზე ინსტრუქციით განსაზღვრულ გამონაკლისებს. მუნიციპალიტეტის მიერ უსასყიდლოდ მიღებული მომსახურება აღიარდება არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად შემოსავლის სახით იმ შემთხვევაში, თუ ღირებულების საიმედოდ შეფასება არ საჭიროებს ფასიანი ექსპერტული შეფასების მომსახურების შესყიდვას, ხარჯ-სარგებლიანობის პრინციპის შესაბამისად.

ხარჯების ამ ჯგუფში არ აღირიცხება ცვეთის/ამორტიზაციის და გაუფასურების ხარჯები.

სუბსიდიები და გრანტები - საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული ეკონომიკური შინაარსის მიხედვით, წარმოადგენენ არაგაცვლითი ოპერაციით ხარჯებს. ხარჯის გაწევის პირობები შესაძლებელია გამომდინარეობდეს კანონმდებლობის ნორმებიდან, ან სახელშეკრულებო პირობებიდან. სსბასს 23 თანახმად, ორივე შემთხვევაში საფუძვლები განიხილება იურიდიულად ქმედით შეთანხმებად, მიუხედავად იმისა შეთანხემება წერილობითია თუ არა. ორივე შემთხვევაში მავალდებულებელი მოვლენა წარმოადგენს იურიდიულ ვალდებულებას. თუ „შეთანხმება პირობით“ არის და პირობის დარღვევის შემთხვევაში მიმღებს წარმოეშობა ეკონომიკური სარგებლის მუნიციპალიტეტისთვის დაბრუნების ვალდებულება, მუნიციპალიტეტი ვალდებულების შესრულების მიზნით საკასო ოპერაციებს (გადახდა) ახორციელებს ავანსად (წინასწარი), და აღიარებს მოთხოვნებს (ფინანსურ აქტივს) დებიტორული დავალიანების სახით. სუბსიდიის/გრანტის ხარჯის აღიარება ხდება პირობის შესრულების თაობაზე მიმღების მიერ მუნიციპალიტეტისთვის ანგარიშის დადგენილი ფორმით ავანსად მიღებული სუბსიიდიის/გრანტის თანხების გამოყენების შესახებ, წარმოდგენის შემთხვევაში. თუ დასტურდება შეთანხმების პირობის შესრულება და თანხის მიზნობრივი გამოყენება. ხარჯი მიეკუთვნება ანგარიშის შედგენის საანგარიშგებო პერიოდს. ანგარიშის წარმოდგენის ვადები განისაზღვრება შეთანხმებით, რაც წარმოადგენს სახელმწიფო ხაზინაში დამოწმების ვადის დადგენის საფუძველს. ვადის დარღვევის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე თანხის მიმღებს ეცნობება წერილობით (თუ შეთანხმება წერილობითი სახით არ არის) ან შეთანხმების დოკუმენტით განისაზღვრება. დამოწმების ვადის გაგრძელებაზე, ხაზინას მუნიციპალიტეტი მიმართავს თანხის მიმღების მიერ ვადაგადაცილების მიზეზებზე წერილობითი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში. ხაზინის ელექტრონულ სისტემაში ხარჯის აღიარების შემდეგ დამოწმების საფუძვლად განთავსდება ანგარიშის ფორმის ელექტრონული ვერსია. იმ შემთხვევაში, როცა სუბსიდიის/გრანტის გაცემის საფუძველია სსბასს 23 თანახმად „შეთანხმება შეზღუდვით“, ხარჯი აღიარდება

მავალდებულებელი მოვლენის დადგომისთანავე და ვალდებულების შესრულების მიზნით ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საკასო ოპერაციები (გადახდები) განხორციელდება სტანდარტულად. იმ შემთხვევაში, თუ გრანტის გაცემის მავალდებულებელი მოვლენის დადგომის საფუძველია კონსტრუქციული მოვალეობა, სამეურნეო ოპერაცია აღირიცხება სსბასს 19 შესაბამისად განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკით.

სუბსიდიების კატეგორია აერთიანებს სახელმწიფო საწარმოებზე, კერძო საწარმოებზე და სხვა სექტორებზე
მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემულ ტრანსფერებს.

გრანტების კატეგორია მოიცავს უცხო ქვეყნების მთავრობებებზე, საერთაშორისო ორგანიზაციებზე და
სახელმწიფო ერთეულებზე გაცემულ გრანტებს როგორც მიმდინარე, ისე, კაპიტალური სახით, ფულადი და
სასაქონლო ფორმით. ამასთან, კონსოლიდაციის მიზნებისათვის კონტროლირებულ ერთეულებზე გაცემული გრანტები არის ელიმინირებული.

სასაქონლო ფორმით სუბსიდიის და გრანტის ხარჯის აღრიცხვა ისეთივე წესით ხდება, როგორც ფულადი ფორმით.

ცვეთის ხარჯი აერთიანებს ცვეთადი აქტივების (ძირითადი აქტივების და საოპერაციო იჯარით აღებული აქტივების არსებითი გაუმჯობესების) ცვეთადი ღირებულების სისტემატური ჩამოწერის ხარჯებს აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ამორტიზაციის ხარჯი მოიცავს არამატერიალური აქტივების ამორტიზირებადი ღირებულების სისტემატური ჩამოწერის ხარჯების აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.
გაუფასურების ხარჯების კატეგორია აერთიანებს ძირითადი აქტივების, არამატერიალური აქტივების ფარგლებში მიღებული აქტივების და სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯებს.

სოციალური დახმარება - ფულადი ფორმით სოციალური დახმარება, რაც ნიშნავს საზოგადოების ცალკეული პირებისა და ჯგუფების კონკრეტული საჭიროების დასაკმაყოფილებლად ფინანსურ დახმარებას, რათა მათ მიერ ხელმისაწვდომი იყოს სხვადასხვა მომსახურების შესყიდვა, აღიარდება ხარჯად, როცა მიიღება გადაწყვეტილება დახმარების გაცემაზე. ხარჯის საიმედოდ შეფასების კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია, ხოლო სსბასს მიხედვით ვალდებულების აღიარების საფუძველია მავალდებულებელი მოვლენის დადგომა - დადასტურდა, რომ პირი ან ჯგუფი აკმაყოფილებს დახმარების მიღების კანონმდებლობით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. სასაქონლო ფორმით სოციალური დახმარება, როცა ხდება საზოგადოების უზრუნველყოფა ჯანდაცვის, განათლების, განსახლების, სატრანსპორტო და სხვა სოციალური მომსახურებით და ამ მომსახურებათა მომხმარებლებს არ მოეთხოვებათ აღნიშნული მომსახურების ღირებულების ეკვივალენტური თანხის გადახდა, ხარჯი აღიარდება იმავე წესებით და პირობებით, როგორც ფულადი ფორმით სოციალური დახმარების შემთხვევაში, თუ კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული მავალდებულებელი მოვლენის დადგომის

დადასტურება მომსახურების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე. მავალდებულებელი მოვლენის წარმოქმნა თუ განსაზღვრულია მომსახურების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, ხარჯი და ვალდებულება აღიარდება დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში და მიეკუთვნება იმ საანგარიშგებო პერიოდს, როცა პირმა მიიღო მომსახურება. როცა ხდება საზოგადოების უზრუნველყოფა აქტივებით (მატერიალური მარაგები, ძირითადი აქტივები და სხვ.) ხარჯი აღიარდება იმავე წესებით, როგორც ფულადი ფორმით სოციალური დახმარების შემთხვევაში. არ ხდება მარაგების აღიარება და ხარჯის აღიარება ხდება სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

მუნიციპალიტეტის მიერ გადაწყვეტილების საფუძველზე, სანაცვლოდ შესაბამისი საფასურის გარეშე გაცემული საგარანტიო წერილები სოციალური დახმარების მიღებაზე, აღირიცხება საცნობარო ანგარიშზე, როგორც გარანტიები სოციალურ დახმარებებზე და არ განისაზღვრება როგორც პირობითი ვალდებულება სსბასს 19 თანახმად. მუნიციპალიტეტი სოციალურ დახმარებებზე ანარიცხებს არ ქმნის.

კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, მუნიციპალიტეტის მიერ საოჯახო მეურნეობებისთვის სოციალური დახმარების ფორმით გაწეული დახმარება, შინაარსის ფორმაზე უპირატესობის პრინციპით, საბიუჯეტო კლასიფიკაციის თანახმად, აღიარდება როგორც ტრანსფერების ხარჯი, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული.

სხვა ხარჯების სხვადასხვა კატეგორიები, საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული ეკონომიკური შინაარსის მიხედვით, წარმოადგენენ გაცვლით და არა გაცვლით ოპერაციებს. გაცლითი ოპერაციების შემთხვევაში აღრიცხვის წესები განსაზღვრულია „საქონლის და მომსახურების“ სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, ხოლო არაგაცვლითი ოპერაციების შემთხვევაში - „სოციალური მომსახურება/სუბსიდია/გრანტი“ სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად. სასამართლო გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების შემთხვევაში, ორგანიზაცია დაკისრებული ვალდებულების შესაბამის ხარჯს აღიარებს ხარჯის იმ კატეგორიაში, რომელიც ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცის მიხედვით შეესაბამება ეკონომიკურ შინაარსს, მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულების შესრულების მიზნით იძულების წესით საინკასო დავალებით ჩამოჭრილი თანხები, სახაზინო სამსახურის მიერ აისახება სხვა ხარჯების კატეგორიაში, ხოლო სასამართლოს სააღსრულებო ხარჯები აღიარდება სხვა ხარჯების სახით. ხარჯის აღიარების საფუძველია საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილება, რაც ადასტურებს მავალდეულებელი მოვლენის დადგომას, რაც იწვევს კრედიტორული დავალიანების წარმოქმნას. სასამართლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ანარიცხების და პირობითი ვალდებულების აღრიცხვის წესები განსაზღვრულია სსბასს 19 შესაბამისად ჩამოყალიბებული სააღრიცხვო პოლიტიკით.

აღნიშნული კატეგორია აერთიანებს ქონებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, გარდა პროცენტისა, რენტის

ხარჯებს. გარე ტრანსფერებით ხარჯების კატეგორია მოიცავს მიმდინარე, და კაპიტალურ ტრანსფერებს ფიზიკურ პირებზე კერძო არამომგებიან ორგანიზაციებზე, არასამთავრობო ფონდებზე და სხვ. როგორც ფულადი, ასევე, სასაქონლო სახით.

არაფინანსური აქტივების გაყიდვებიდან მიღებული დეფიციტი მოიცავს არაფინანსური აქტივების
გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობით მიღებულ ზარალს.

ფინანსური ხარჯები მოიცავს პროცენტის სახით გადახდილ თანხებს სესხებისათვის..

შიდა ტრანსფერებით ხარჯები მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში
მუნიციპალიტეტის მიერ კონტროლირებული ერთეულების დაფინანსების მიზნით გაწეულ ხარჯებს, რომელიც ელიმინირდება კონსოლიდირებული პრინციპების გათვალისწინებით. აქ აისახება ასევე შიდა ტრანსფერებით ისეთი ხარჯები, რაც უკავშირდება მიღებულ შემოსავლებთან დაკავშირებით ბიუჯეტის მიმართ ვალდებულების წარმოქმნას.

შენიშვნა №18 ასახული სხვადასხვა ხარჯების კატეგორია აერთიანებს კურსთა სხვაობის შედეგად ფლობიდან წარმოქმნილ ზარალს, ფლობის შედეგად გაწეული სხვა ზარალს, საეჭვო/უიმედო დებიტორული დავალიანებების ხარჯებს, მატერიალური მარაგების ღირებულების შემცირების ხარჯებს და სხვადასხვა ხარჯებს.

შენიშვნა 19 ფულადი სახსრები გადასახადებიდან - ასახულია ბიუჯეტის საკასო შესრულების მაჩვენებლები გადასახდების მიღებაზე სახეების მიხედვით.

საოპერაციო საქმიანობებიდან წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობის შეჯერება (შედარება) ნამეტთან/(დეფიციტთან) - შენიშვნა 20 თან დაკავშირებით ინფორმაცია

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება მომზადებულია სსბასს 2 თანახმად, პირდაპირი მეთოდით. პირდაპირი მეთოდი გულისხმობს ანგარიშგების თარიღისათვის ფულადი სახსრების წყაროების და გამოყენების შესახებ, ასევე, ფულადი სახსრების ნაშთების შესახებ სააღრიცხვო მონაცემებზე ინფორმაციის წარმოდგენას საანგარიშგებო პერიოდში საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ფულადი სახსრების ნაკადების სახით. შესადარი ინფორმაციის წარმოუდგენლობაზე ინფორმაცი გამჟღავნებულია შენიშვნა №1 _ში. განმარტებითი შენიშვნა №20 წარმოდგენილია ერთიანად ორივე წყაროს მიხედვით და საოპერაციო საქმიანობებიდან წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობის შეჯერების (შედარება) ნამეტთან/(დეფიციტთან) მიზნებისთვის გამოყენებულია არაპირადპირი მეთოდი. საოპერაციო საქმოანობიდან წმინდა ფულადი სახსრების ცვლილების მაჩვენებელი შეჯერებულია ნამეტთან/დეფიციტთან, იკვეთება არაარსებითი განსხვავებები. შეჯერების მაჩვენებელზე გავლენას ახდენს ბიუჯეტის საკასო ხარჯების მობრუნების შედეგად ანგარიშგების თარიღისთვის ხაზინის ერთიან ანგარიშის მობრუნების სახაზინო კოდზე გაურკვეველი თანხის სახით რიცხული ფულადი სახსრების ნაშთი, ასევე ბიუჯეტის შემოსავლებში მიმართული წინა წლის გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების მობრუნების შედეგად ჩარიცხული თანხები, რომელიც ასახულია საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად შემოსავლად, ხოლო

შინაარსობრივად წარმოადგენს ფინანსური აქტივების (დებიტორული დავალიანებების) შემცირების შედეგად მიღებულ შემოსულობას. განსხვავებები მე-20 შენიშვნის მიხედვით არსებით გავლენას არ ახდენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ სახსრების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღებაზე.

ფაქტობრივი თანხებისა და საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობებიდან წმინდა ფულადი სახსრების შეჯერება (შედარება) შენიშვნა 21-თან დაკავშირებით ინფორმაცია

ბიუჯეტის და ფაქტიური თანხების შედარების ანგარიშგება მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალეობის გაზრდის მიზნით მზადდება და მოიცავს ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებას, რომელშიც ბიუჯეტის „გეგმური“ და „ფაქტობრივი“ მონაცემები წარმოდგენილია საკასო მეთოდის შესაბამისად.

ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგების წარმოდგენილია ა მრავალსვეტიანი ფორმატის სახით, სადაც შემოსულობების და გადასახდელების თითოეული კატეგორიისათვის ცალ-ცალკეა მითითებული დამტკიცებული წლიური ბიუჯეტი, დაზუსტებული გეგმური მაჩვენებლები, ამ მაჩვენებლების ფაქტობრივი შესრულება და ფაქტობრივი შესრულების პროცენტული მაჩვენებელი.

ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება მზადდება მხოლოდ საბიუჯეტო ასიგნებებთან დაკავშირებით. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგების მიზნებისათვის, დამტკიცებული ბიუჯეტი ასახავს საბიუჯეტო წლის მანძილზე მოსალოდნელ საბიუჯეტო შემოსულობებს და გადასახდელებს, რომლებიც დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ. საბოლოო (დაზუსტებული) ბიუჯეტი მოიცავს საბიუჯეტო პერიოდში პროგრამების დასაფინანსებლად თავდაპირველად გამოყოფილი თანხების ყველა ნებადართულ ცვლილებას ან შესწორებას. ფინანსური ანგარიშგების ფულადი სახსრების ნაკადების მაჩვენებელი შეჩერებულია ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებთან საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნების და სსბასს პირობების სესაბამისად და განსხვავებები არ იკვეთება.

მუნიციპალიტეტის მიერ საანგარიშგებო პერიოდში გამოუყენებელ სსბასს თაობაზე ინფორმაცია

მუნიციპალიტეტის შიდა სააღრიცხვო პოლიტიკა მოიცავს საჯარო სექტორის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე (IPSAS) მუნიციპალიტეტის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის წესებს და პირობებს. შიდა პოლიტიკით არ არის განსაზღვრული საინვესტიციო ქონების და შეღავათიანი მომსახურების აქტივების აღრიცხვის წესები და პირობები. საინვესტიციო ქონების აღრიცხვა და ანგარიშგებაში ასახვა ხორციელდება **სსბასს 16-ის - „საინვესტიციო ქონება“** - შესაბამისად. საინვესტიციო ქონებად მოიაზრება ისეთი უძრავი ქონება (მიწა ან შენობები, ან შენობის ნაწილი, ან ორივე ერთად), რომელიც გამიზნულია შემოსავლების მისაღებად

იჯარით გაცემის გზით ან კაპიტალის ღირებულების ნაზრდის მისაღებად. საინვესტიციო ქონების აღიარება აქტივად ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც:

(ა.) მოსალოდნელია, რომ ერთეული მიიღებს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს ან საინვესტიციო
ქონებასთან დაკავშირებულ სასარგებლო მომსახურების პოტენციალს; და

(ბ.) შესაძლებელია საინვესტიციო ქონების თვითღირებულების ან სამართლიანი ღირებულების საიმედოდ
შეფასება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით - მაშინ, როცა აღნიშნული აქტივი
შეძენილია გაცვლითი ოპერაციის გზით ან წარმოადგენს ერთეულის მიერ შექმნილ აქტივს, ან სამართლიანი
(რეალური) ღირებულებით, თუ საინვესტიციო ქონების შეძენა ხდება არაგაცვლითი ოპერაციის გზით.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, საინვესტიციო ქონების შემდგომი შეფასება თუ ხდება თვითღირებულების მოდელის გამოყენებით - თავდაპირველი ღირებულება ყოველწლიურად მცირდება
ცვეთის და გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხებით. საინვესტიციო ქონებას ცვეთა ერიცხება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის შესაბამისად, აქტივის ნარჩენი (სალიკვიდაციო) ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების ან ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული სხვა თანხის აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების გზით.

შეღავათიანი მომსახურების აქტივების აღრიცხვა და ანგარიშგებაში ასახვას განსაზღვრავს **სსბასს 32 -
„შეღავათიანი მომსახურების შეთახმებები: უფლების გადამცემი“**. შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულებების აქტივების აღიარება ხდება მთავრობის აქტივების სახით. იმის გათვალისწინებით, რომ ამ აქტივების შენება ეტაპობრივად მიმდინარეობს, მთავრობა მათ აღიარებს დაუმთავრებელი მშენებლობის სახით, თვითღირებულებით. ამავე დროს ხდება იგივე ღირებულების ფინანსური ვალდებულების აღიარებაც. როცა აქტივების მშენებლობა სრულდება, მათი მთლიანი თვითღირებულება და შესაბამისი ფინანსური ვალდებულება ასახავს იმ სამომავლო ანაზღაურების ღირებულებას, რომელიც აქტივების სანაცვლოდ კერძო სექტორიდან წარმოდგენილ პარტნიორს უნდა გადაეცეს.

შეღავათიანი მომსახურების ვალდებულებების აღიარება შეღავათიანი მომსახურების აქტივების აღიარების დროს ხდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს აქტივი მთავრობის უკვე არსებული აქტივია. შეღავათიანი მომსახურების ვალდებულების აღიარება თავდაპირველად იმავე თანხით ხდება, რითაც
შეღავათიანი მომსახურების აქტივის. შეღავათიანი მომსახურების აქტივს ცვეთა/ამორტიზაცია ერიცხება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის შესაბამისად. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისათვის

გამოიყენება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის 289 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ.

სსბასს 16 მოთხოვნებს აკმაყოფილებს თუ არა მუნიციპალიტეტის მიერ გრძელვადიანი საინჯარო ხელშეკრულებებით გაცემული ძირითადი აქტივები, და ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობის მოთხოვნები, მუნიციპალიტეტის ქონების მართვის თაობაზე, შეესაბამება თუ არა სსბასს განსაზღვრულ კრიტერიუმებს, ანგარიშგების თარიღისთვის არ არის შეფასებული და გარდამავალი პერიოდის დასრულებამდე იგეგმება შეფასება და შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის განსაზღვრა. ასევე განისაზღვრება სსბასს 32 გამოყენების აუცილებლობა, მუნიციპალიტეტრის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით.